XX 10—11 XXI—XXX

51
1919
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჟურნალ „ჯეჯილის“ ა.

I. ეს რა მიყავ, შე საძაგელო!—სურათი . 2
II. ციალა ლექსი—გ. ქუჩიშვილისა. . . 3
Ш. ნაცარ ქათიბას ჩივილი . . . 4
IV. სამხეცროში—თარგმანი მ. იაშვილისა. . 6
V. ლიკლ ტიკლის ეშმაკობა. ლიკლ-ტიკლი ტყეში ატარებს ღამეს.—დასასრული. ტასოსი . 16

VI. მელა—ლექსი შიო მღვიმელისა. . . 27
VII. კოწო და მისი ამხანაგები (დასასრული)—ან. წერეთლისა. . . . . 29
VIII ქარის ფრინველი.—ა. . . . . 36

IX. ლოდინი ფრთოსნისა—შიო მღვიმელის. 38
X. ვასილ ბარნოვი (ოცდათი წლის იუბილეის გამო)—ანასტასია ერისთავი—ხოშტარიასა. . 40
XI. ირემი—(თარგმანი) ალ. ფალავასი. . 43
XII. დატანჯული მნათობი—ისტორიული ლეგენდა კ. წ[illegible]თისოფლისა. . . . 46
XIII. მისს მარჟორი უორდროპი (ათი წლის გარდაცვალების გამო)—ან. წერეთლისა. . 50
XIV. მისს მარჟორი უორდროპის მოგონება.—ეკ. გაბაშვილისა. . . . . . 51
XV. პატარა ბოშა (თარგმანი) ეკ. მესხისა. გაგრძ. 55

# ჟურნალი
# ჯეჯილი

## 1919 წელს

(ოცდაათი წელიწადი პირველ იანვარს სრულდება) გამოვა არა ნაკლებ 6 წიგნისა, რადგან ძნელიპირობების გამო რედაქცია ვერ შესძლებს სრულად დააკმაყოფილოს ხელის მომწერლები. ჟურნალი „ჯეჯილი“ წლიურათ ღირს 20 მ.

ცალკე ახალი ნომრის ფასი 5 მ. ძველი წლების ნომრები თითო წლით 20 მ.




საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი გახდი ყანაო.
ი. დ.

ოქტომბერი და ნოემბერი 1919 წ.

წელიწადი მეოცდაათე

თბილისი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ. № 26.

F-5826
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეს რა მიყავ შე საძაგელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციალა.

ერთი შეხეთ ციალასა,
თვალ-ლურჯა და ცქრიალასა,
მერცხალივით ხალისიანს,
მოუსვენარს, ფთხრიალასა;

ადრიანათ წამომხტარა,
ტანთ ჩაუცვამს თავის ხელით;
სარკეშიაც იყურება,
თმას ივარცხნის სავარცხელით

გ. ქუჩიშვილი.



# ნაცარ-ქათიბას ჩივილი.



ემზე უბედური განა არის ქვეყანაზე ვინმე! ტირილით ამბობდა ნაცარ-ქათიბა კურდღელი. ვინ არ ილესავს ჩემზე კბილებს: მონადირე, მაღლები, მგელი, მელია და გარეული ფრინველები: ნისკარტ-მოკრეხილი ქორი, უბადრუკი ჭოტი, სულელი ყვავიც კი თავისი მოკრეხილი თათებით იტაცებს ჩემ ლამაზ საყვარელ შვილებს—ნაცარ-ქათიბა ბაცაცებს. ყოველი მხრიდან უბედურება მომელის, თავის დაცვა კი არ შემიძლიან! ხეებზე თრითინასავით არ შემიძლია ხტომა, თხუნელასავით არ ვიცი სოროების თხრა. მართალია ჩემი კბილები ხრამენ კომბოსტოს და ღრღნიან ხის ქერქს, მაგრამ კბენას კი ვერ ვახერხებ. სირბილი მარდი ვიცი, ხტომაც შემიძლიან, მხოლოთ მეხერხება სწორ მინდორზე სირბილი, ან მთა-გორაკებზე არბენა—დაღმართზე კი ნურას უკაცრავათ, ყირამალა ჩავგორდები—ჩემი მოკლე წინა ფეხების წყალობით.

კიდევ როგორმე ვიცხოვრებდი, გავიტანდი თავს, თუ არ ეს დაწყევლილი ჩემი სილაჩრე. გავიგებ თუ არა ცოტა ოდნათ შრიალს — ყურებს ავცქვიტავ, გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ამიფანცქალდება, აღარას დავდევ, გამოვვარდები ბუჩქებიდან და პირდაპირ ვეტაკები ან მახეს და ან მონადირეს ფეხებში გავებლანდები.

— ძალიან, ძალიან დამჯაბნა ბედმა, ცეცხლში ჩამაგდო მე, უბედური! ჩემი მცბიერობა, ჩემი ხერხიანობა — არაფერში გადის. ბუჩქებში ვიმალები, გორაკებს ვეფარები, ვცდილობ კვალზე არ მომაგნონ, მაგრამ ადრე თუ გვიან უბედურებას ვერ ვიცდენ თავიდან და ბოლოს მზარეულ დედაკაცს ვერ ავცდები, მტაცებს ხელს ჩემ გრძელ ყურებში და წამათრევს ხოლმე სამზარეულოში.

ერთი სანუგეშოა ის, რომ კუდი მოკლე მაქვს, ძაღლი ვერ წამწვდება. მე რომ მელიასავით გრძელი კუდი მქონოდა, მაშინ რა მეშველებოდა!

ტასო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხეცოში.



დედა ჩემს ოთხი შვილი ვყავდით: ჩვენი უმფროსი ძმა, რომელიც უკვე ორი წლისა იყო და გამზრდელობას გვიწევდა და სამნი ჩვენ, რომელნიც ოთხ-ოთხი თვისა შევსრულდით. უმფროსი ძმა ჩვენ არა გვშორდებოდა, ყველგან უკან დაგვდევდა, დედასაც ყველაფერში ემორჩილებოდა. ეს მას, რასაკვირველია, არ მოსწონდა.

— როდის-ღა უნდა გავნთავისუფლდე? ბუტბუტებდა მუდამ, საწყალი.—მე ხომ უკვე დიდი ვარ! ორი წლისა ვარ!..

დედა დაურიდებლათ სცემდა თავში და ეუბნებოდა:

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! შენ მოვალე ხარ! განა არ იცი რო დათვებში ასეთი წესია: ყოველთვის უმფროსი შვილი რჩება ხოლმე გამზრდელათ!

ის საცოდავიც დაემორჩილებოდა ხოლმე.

მახსოვს, როდესაც ოთხი თვისა შევსრულდით, დედამ შემოგვძახა ბუნაგში:

— გამოდით, გამოდით ბუნაგიდან! დრო შეეჩვიოთ ჰაერს.

ჯერ ისევ მუმუსა ვწოვდით და სრულიათ არა ვიცოდით რა. დედამ კბილებით გამოგვათრია ბუნაგიდან და უცბათ ჩვენი თავი ტყეში დავინახეთ. სუფთა ჰაერმა ისე გაგვაბრუა, რო თითქმის შეგვეშინდა.

— არა უშავს რა, არა გიჭირთ რა! გაგვამხნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა დედა ჩვენმა.—ნუ გეშინიანთ, წამოდით.

დედა წინ გაგვიძღვა და ჩვენც გავყევით. ყველაზე უკან ჩვენი ძმა მოდიოდა და გზა და გზა ბუტბუტებდა.

— დედა, გამიშვი, მე ხომ უკვე დიდი ვარ! მომბეზრდა პატარების ამდონი ლოლიაობა!

მაგრამ დედა მას ყურადღებას არ აქცევდა და ჩუმათ განაგრძობდა გზას. ჩვენ ბაჯბაჯით მივდევდით უკან, ხან აქეთ გადავდიოდით, ხან იქით, მორიდან ალბათ სასაცილონი ვიყავით.

„რა მოუხეშავები არიან!“ გაიფიქრებდა ჩვენს დანახვაზე ადამიანი. მაგრამ, მიუხედავათ ამისთანა მოუხეშაობისა, ჩვენ საშინელი მარდი და მოხერხებულნი ვართ. და ეს თითქმის მაშინვე დავამტკიცეთ, როდესაც დედამ გამოგვიყვანა მინდორზე და გვითხრა:

— ითამაშეთ! ხეებზე ადით! იკოტრიალეთ!

ჩვენც მაშინვე შევუდექით თამაშობას. შევდექით უკანა ფეხებზე და ერთმანეთს გამოვუდექით დასაჭერათ, ისე როგორც ადამიანის ბავშებმა იციან. შემდეგ სულ ტიტველა ხეებზე ავცოცდით ისე ხელოვნურათ, რომ ჯამბაზსაც კი შეშურდებოდა.

ჩვენი გამზრდელი ე. ი. ჩვენი უმფროსი ძმა კი თვალ-ყურს გვადევნებდა, აგვსხამდა ხეზე, ხელს შემოგვაშველებდა ხოლმე ჩამოსვლისას და საზოგადოთ ყველა ზომას ხმარობდა რომ ჩვენ არა დაგვშავებოდა რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს დედა ჩვენი მინდორში დადიოდა და შეექცეოდა. სჭამდა რაც კი შეხვდებოდა: ბალახს, კალიებს, ლოკოკინებს, წვიმის მატლებს, რკოს, სოკოს და ჭიანჭველებსაც. საზოგადოთ დათვები ყველაფერსა სჭამენ, დიდი მოთხოვნილება არა აქვთ, კმაყოფილდებიან იმით, რაც კი გზაში შეხვდებათ.

— დაიჭირე, დაიჭირე, დაიჭირე! უცბათ მოგვესმა უმფროსი ძმის ხმა და თვალის დახამხამებაზე გაექანა რაღაცა ფრინველის დასაჭერათ. თურმე ტყის ქათამი აეფრინა. დედა შეკრთა და როდესაც მისვდა, რაში იყო საქმე, ისიც თავის შვილს შეუერთდა. არა ჩვეულებრივის სიმარჯვით დაიჭირეს მფრინავი ტყის ქათამი, ერთ წამს გაბტყვნეს, გაგლიჯეს და შესჭამეს.

— ახლა კი წყლის დასალევათ წავალ, შვილებო! თქვა დედამ.

ჩვენც ჩავმწკრივდით და გავყევით დედას. დედა ჩემი და ჩვენი უმფროსი ძმა წყალს დაეწაფენ, როდესაც წყლის სმა გაათავეს, დედამ ჩაყო დინგი წყალში და ერთის თათის მოქნევით დაიჭირა თევზი და შეჭამა. გამზრდელი კიდე პირდაპირ წყალში გადაეშვა, გასცურა და იწყო ამანაც თევზების ჭერა. ჩვენ სამნი ვიდექით წყლის პირას, ვუყურებდით მათ და ვიცინოდით.

— იქითა მხარეს გადავიდეთ? შემოგვთავაზა დედამ.—იქ ბევრი მოცვია და გემრიელიცაა.

დედამ მე დამავლო კბილები, გამზრდელმა ჩემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ძმას და ასე გადავედით იქითა მხარეს. შემდეგ დედამ გამზრდელი მესამე ძმის გამოსაყვანათ გაგზავნა, მაგრამ ეს გაჭირვეულდა. აღარ უნდოდა წასვლა.

— გასცურე და ისიც გამოიყვანე! შეუტია დედამ, როდესაც შენიშნა, რომ აღარ აპირობდა წასვლას. ის იქ მარტოა, შეიძლება ვინმემ აწყენიოს.

— არ მინდა! მიუგო გამზრდელმა ისედაც სულ მთლათ დასველებული ვარ.

— აბა ერთი გაიმეორე, რა სთქვი? დაუყვირა დედამ.

— არ წავალ! კიდე წაიბუზღუნა გამზდრდელმა.

მაშინ დედა ჩემი მივიდა, ერთი კარგი სილა სტკიცა და წყალში ჩააგდო.

— მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა გაგონება! — უთხრა დედამ.

გამზრდელს შეეშინდა და გასცურა, საბრალომ, მალა უნებურათ, უკანასკნელი დათუნიას გამოსაყვანათ.

წავედით მოცვზე. დედა უმფროსი შვილით შეექცეოდენ მოცვს, ჩვენ კი შურით შევსცქეროდით.

— დედა. ჩვენც მოგვეცი! ვთხოვეთ დედას, მაგრამ დედა ჩემი შეურყეველი იყო.

— თქვენ ჯერ პატარეები ხართ! ჯერ ძუძუ უნდა სწოვოთ! აი, დაიცადეთ, ნახევარი წლისა რო შესრულდებით, მაშინ ყველაფერი გეჭმევათ, გვითხრა დედამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მართლაც, ორი თვის შემდეგ უკვე ყველაფერსა ვჭამდით. წლის ბოლოს კი ზამთარში ჩვენ თვითონ უნდა გვეზრუნა ჩვენი თავისთვის.

— ეხლა თქვენ უკვე დიდები ხართ! მოგვმართა დედამ. და თქვენ თვითონ შეგიძლიანთ თქვენთვის იშოვოთ საზრდო, მშვიდობით. წადით ვისაც საით გინდათ! ხოლო რომელიმე თქვენგანი ჩემთან უნდა დარჩეს შვილების გამზრდელად; შენ კი, მიუბრუნდა ჩვენ უმცროს ძმას, ეხლა თავისუფალი ხარ. შენი მოვალეობა უკვე შესრულდა. შეგიძლიან დაიკარგო საცა გინდა!

ჩვენი გამზრდელი ამას არ მოელოდა.

— დავიჯერო? წამოიძახა გახარებულმა გამზრდელმა. მაშ მე ეხლა თავისუფალი ვარ?

და სიხარულით ცეკვა დაიწყო. კარგა ხანს სტკეპნა დედა მიწა ერთ ალაგას, შემდეგ ერთი დაიქნია თავი და მოჰკურცხლა. მალე ატეხილ ტყეში მიიმალა.

ჩვენ გამოვეთხოვეთ დედას, ახალ გამზრდელს და აქეთ-იქით გავიფანტენით.

აი ახლა მარტო ვარ, სულ მარტო. ცივა, თოვს, მე მივდივარ, მივდივარ და რაღაცა უცნაურათა მთვლემს. თავის აწევა მიძნელდება, თვალები მეხუჭება.

მილი, მილი, მილი!

ერთ ატეხილ ტყეში შევედი, კარგი ალაგი ამოვირჩიე ბუნაგისთვის ფიჭვის გამოფუღრულში, შიგ გამხმარი ფოთლები დავაგე და დავწექი. ოჰ, რა ტკბილად დამეძინა! განძრევაც კი აღარ მინდოდა.

აღარც თვალის გახელა და ბუნაგიდან გამოხედვაც კი გარეთ არ მინდოდა. ამ დროს გარეთ საშიხელი ქარ-ბუქი იდგა, თოვდა და გზებში უშველებელი თოვლის ზვინები იდგმოდა. მალე მეც ნამქერი შემომაყარა. მაგრამ, მე თბილათ ვიწექი ჩემს ბუნაგში და ხოლო როცა მომშიოდა ხოლმე ჩემს თათს ვწუწნიდი.

მთელი სამი თვე ასე ვიწექი ბუნაგში უსმელ უჭმელი და ზემოდან თოვლი მეყარა. ბოლოს, როდესაც გაზაფხულდა და ნაკადების ჩუხჩუხი და ჩიტების ჭიკჭიკი მომესმა. მეც გამომეღვიძა ღრმა ძილისაგან და ჯაერზე გამოვმვერი. ყველაფერი ახალი და საუცხოვო მეჩვენა. როდესაც ბუნაგიდან გამოვმვერი, გავიზმორე, გავსწორდი და შევუდექი ჭამას. ვერ წარმოიდგენთ. რამდენი შევჭამე პირველ დღეს! შემდეგ კარგა ხანს ვისეირნე. ყოველ დღე დავსეირნობდი ხოლმე ჩემ ბუნაგის ახლოს და ისევ მალე ვბრუნდებოდი სახლში. ბუნებაში ყველაფერი იღვიძებდა, აფუსფუსდენ პატარა ნადირები, ფრინველებმაც მხიარული ჭიკჭიკი მორთეს და ყველანი ოჯახობას ეკიდებოდენ.

სეირნობის დროს უცბათ ერთ დათვს შევხვდი.

— იცი რა! მომმართა დათვმა, მოდი ჩვენც მოვეკიდოთ ოჯახობას!

ამის შემდეგ ერთად დავიწყეთ ცხოვრება. და არაფერი იყო ჩვენს ცხოვრებაში ისეთი, რომ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად არ გაგვეკეთებინა. ერთად დავსეირნობდით, თაფლის მოსაპარავათაც ერთად დავდიოდით. საზოგადოთ ერთმანეთის დაუკითხავათ ფეხს არ გადავდგამდით. ასე გავატარეთ მეორე ზამთრამდინ. შემდეგ ორივეს ძილი მოგვერია.

— მე მეძინება... მითხრა ჩემმა ამხანაგმა.—მშვიდობით! შენც შენს ბუნაგში ჩაწექი და გაზაფხულამდინ იძინე: მე კიდე წავალ სადმე მოშორებით, ვიშოვი ჩემთვის სხვა ბუნაგს და ვეცდები მთელი ზამთარი იქ გავატარო!

ასე დავშორდით. ისევ დაუბერა ქარმა, საშინელი ყინვები დაიჭირა და შემდეგ თოვლიც ჩამოყარა. მთელი სამი თვის განმავლობაში უშველებელი თოვლის ზვინი მქონდა მოყრილი. მე კიდე თბილათ ვიწექი ჩემ ბუნაგში, ტკბილათ მეძინა. ძილში ვწუწნიდი ჩემ თათს და არაფერზე არ ვფიქრობდი.

როდესაც ისევ გაზაფხულდა თოვლი გალხვა, ღმერთმა მეც მომცა სიხარული: მე მეყოლა სამი ლამაზი დიდ თავა დათუნია. მეტადრე ერთი იყო მათ შორის სასაცილო, ყველაზე უმცროსი, რომელსაც შემდეგ ადამიანებმა ტიმკა დაარქვეს. ეს ტიმკა ცოცხალ სათამაშოსა ჰგავდა და მეც მეგონა რომ იმაზე ლამაზი და კარგი ნადირი ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა. საშინელი ცელქი რამ იყო, ტიმკა. ერთი წუთი არ გავიდოდა რომ ახალი ეშმაკობა არ გამოეგონა. ჩემ დღეში არ დამავიწყდება ჩემი პატარა ტიმკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ოთხი თვე ბუნაგში მევახდენ ჩემი შვილები და მუმუს ვაჭმევდი. შემდეგ, როდესაც მათი გარეთ გამოუყვანა აუცილებელი გახდა, მინდოდა უკანასკნელათ რითიმე გამეხარებინა და ვუთხარი:

— წამოდით, ბავშებო, თაფლი გაჭამოთ! და მეზობლისას წავიყვანე. შევიპარე სკებთან ერთ მათგანს თავი ავხადე და უშველებელი თაფლის პური გამოვიღე და გადუგდე შვილებს. ესენი სიხარულით მისცვივდენ და შესჭამეს.

— კიდე, დედა, კიდე! მეძახდენ ჩემი დათუნები. მეც ის იყო მეორე სკის ახდა დავაპირე, მაგრამ, ამ დროს ფუტკარმა ზედ ცხვირზე მიკბინა. ჩვენ დათვები ვერ ვიტანთ მწერების კბენას, ამიტომ მეც საშინლათ მეწყინა, ავემუვლდი და თავბრუ დახვეული გავიქეცი. შეშინებული ბავშებიც მე გამომყვნენ. შემდეგ მაღლის ყეფა მომესმა, გავარდა თოფი, ერთი, მეორე და გვერდში საშინელი ტკივილი ვიგრძენი, თვალთ დამიბნელდა და დედამიწაზე უგრძნობლათ დავეცი. ორივე გასროლილი მე მომხვედროდა.

— ოჰო, დავიჭირეთ! მომესმა ადამიანების ხმა. ეხლა კი გიჩვენებთ სეირს!

შემდეგ აღარა გამიგონია რა.

როდესაც გონს მოვედი, დავინახე რომ მთლათ შებოჭილი ვიყავი და პირზედაც მუხრუჭი მქონდა მოჭერილი. ტკივილებისაგან ვერ ვიძროდი. ჩემთან შეჯგიფულიყვნენ ჩემი შვილები და შიშისაგან კანკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდენ. ქვიტკირის სარდაფში ჩაგვამწყვდიეს. არ მახსოვს რამდენ ხანს ვიყავით ამ სარდაფში, ხოლო როდესაც კარი გაიღო და სინათლე ვიხილე კიდე, ჩვენთან შემოვიდა სამი კაცი, რომელნიც ციგნებს წააგავდენ და დიდხანს გვათვალიერეს.

— კარგი დათვები არიან,—ამბოდენ კაცები.— ამათში კარგ ფულს ავიღებთ!

— მეტადრე ის პატარაა კარგი, ტიმკა! – სთქვა ერთმა მათგანმა და მიუთითა ჩემ უმცროს შვილზე.

მას აქეთ შეერქვა ტიმკა ჩემ პატარა დათუნიას.

შემდეგ ჩემი შვილები ტომარაში ჩაყარეს. მეც რადგანაც მძიმე ჭრილობები არა მქონდა, მომკიდეს უკანა ფეხებში და მხრებში და გარეთ გამომიტანეს. სულ შებოჭილი ვიყავი და პირზედაც ისევე მუხრუჭი მქონდა გაკეთებული. ვერას ვაწყობდი და სიბრაზისაგან ვღმუოდი.

მერე ურემში ჩაგვყარეს და ქალაქში წაგვიყვანეს. ჩემი საბრალო შვილები სულ ტიროდენ და მეძახდენ. მე კი იმითაც ვკმაყოფილდებოდი, რომ ტომარის გარეთ მათ სითბოს ვგრძნობდი, ვიცოდი მაინც რო ცოცხლები იყვენ.

— ყოჩაღათ იყავით!— ვეუბნებოდი ბავშებს.— ალბათ მალე გაგვანთავისუფლებენ!

მაგრამ ეს არ მოხდა. ჩამოგვიყვანეს თუ არა ქალაქში, მაშინვე სამხეცროში მიგვიყვანეს და გალიაში ჩაგვსხეს. ამ გალიაში ქვის იატაკი ეგო, შიგ შუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაგას კი უშველებელი, ტიტველა, გატუტული კუნძი ეგდო, რომელსაც ხის მაგიერობა უნდა გაეწია ჩვენთვის. მაშინ კი მივხვდი, რომ მე და ჩემმა შვილებმა სამუდამოთ დავკარგეთ თავისუფლება.

—დედა, სად ვართ? მკითხავდენ ბავშები. —აქ სად მოგვიყვანეს? დილიდან საღამომდის ხალხი იკრიფებოდა სამხეცროსთან, მუსიკა უკრავდა, და ძილს გვიფრთხობდა.

(თ ა რ გ მ ა ნ ი) მ. იაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლიკლ-ტიკლის ეშმაკობა.

## ლიკლ-ტიკლი ტყეში ატარებს ღამეს.

(დასასრული)



ს ამბავი მოხდა ერთ მშვენიერ ბუნებით შემკულ ადგილას, სწორეთ იმ ადგილას, სადაც შემდეგ ლიკლ-ტიკლი მუდამ ცხოვრობდა.

იმ წელიწადს, როდესაც ის და თომა ინდოელებათ მოირთვენ, მხოლოთ ცოტა გვიან, ზაფხულის გასულს ლიკლ-ტიკლი თავის დედ-მამით დაბინავდენ ამ მშვენიერ ადგილას, თან წაიყვანეს „ჭიჭყინა" და პატარა ძმა, რომელსაც დღეის იქით ლიკლ-ტიკლი ეძახოდა მახინჯ „კუს".

ამ ადგილის მახლობლათ მაღალი დიდრონი მთები იყო. ყმაწვილების ოთახიდან მოჩანდა თვალ უწვდენელი ზღვა, იქვე იყო ხშირი ტყე ამათ მოყომრალო ძველ სახლთან, სადაც ყმაწვილები ისე მხიარულათ თვალმალულიას თამაშობდენ. მთის წყაროები წვრილი კალმახებით სავსე მოჩუხჩუხებდენ. იქვე ორი დიდი ტბა იყო, რომელშიაც გარეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხვები ცურავდენ და ბლომათ წყლის ზამბახები ყვაოდა. იქვე ნახავდით გრძელ ფეხებიან ლაკლაკს, წითელ იხვებს, გარეულ მტრედებს და პატარა მოუსვენარ ფრინველებს, რომელნიც თავიანთი ჭიკჭიკით აყრუებდენ ტყეს.

ამ დიდ მოუომრილ აგარაკს მუდამ ბევრი სტუმრები ეწვეოდენ, თომა თავისი დედით, მოლლი თავისი ძმებით, მალუა ჰოლია თავისი ქმრით და, რასაკვირველია, ბიძია ჯეკიც.

ენკენისთვეში, როდესაც ამათ ესტუმრენ თომა, მოლლი თავისი ძმებით, ლიკლ-ტიკლმა გადიხადა თავისი დაბადების დღე. სწორეთ ამ დღეს მოხდა ის საშინელი შემთხვევა, რომელიც ლიკლ-ტიკლს ი აჯის დღეში არ დავიწყებია. ლიკლ-ტიკლის დაბადების დღე ოთხ ენკენისთვეს მოდიოდა. სწორეთ მარჯვე დღეც იყო, რადგან შობამდის კიდევ ბევრი დრო დარჩებოდა, რომ მაშინაც მიეღო საჩუქრები. თომას დაბადების დღე კი დღესასწაულებში მოდიოდა, შობის საში დღის წინეთ, ამიტომ მას არ ერგებოდა ხოლმე ცალკე საჩუქრები და უნდა დაკმაყოფილებულიყო შობის საჩუქრებით. მისი სიტყვით ბედი მას არა სწყალობდა.

ჯერ კიდევ, რამდენიმე კვირის წინეთ ამ შესანიშნავი დღისა, ლიკლ-ტიკლმა დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოაწყოს ამ დღესასწაულის გადახდა.

მან მიუტანა მამას დიდი სია სტუმრებისა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დაპატიჟება სურდა. მამამ უთხრა, რომ ამდენი სტუმრები ვერ დაეტევიან სახლში და კარვების დადგმა მინდორში მოუნდებათ. გათავდა იმით, რომ მან მოიწვია მხოლოთ თომა, მოლლი მმებით და სხვა ტოლ—ყმაწვილებს სთხოვა მხოლოთ პიკნიკზე. დიდრონები არავინ არ უნდა ყოფილიყვნენ გარდა გადიასი და პაწია მმის მიმისა—ლიზასი.

თომამ წინადადება შეიტანა, რომ სულ პატარები სახლში დაეტოვებინათ, მაგრამ ლიკლ-ტიკლი ამის წინააღმდეგი იყო: ამ პაწაწებს ხომ კარგა ხანი გავა, რომ დაბადების დღეს არ გადაუხდიან,—ახალ მამიას ხომ მხოლოთ ერთხელ უდღესასწაულებია დაბადების დღე, თქვა ლიკლ-ტიკლმა, მაგისთვის ერთი ბოთლი რმე ხომ სულ სამყოფი იქნება!

დადგა თუ არა ოთხი ენკენისთვე ჭიჭყინაც, პატარა მამიაც და ყველანი მხიარულად გაემართენ ტყისაკენ სალხინოთ. დაპატიჟებულთა შორის იყვნენ ხუთი მმა-დანნი მაკდონალდნი. ისინი მოშორებით ცხოვრობდენ და კარგა დრო მოუნდათ, სანამ თავიანთი ტლანქი ეტლით, სამაგელი გზით, მიუახლოვდენ დანიშნულ ადგილას. ლიკლ-ტიკლი სხვა სტუმრებთან ერთად დიდი ეტლით და თომა და სენდი აბარგული სანოვაგით—პოვოზკით მივიდენ ტყეში ამორჩეულ ადგილას.

ლიკლ-ტიკლი და თომა თვითონ ხელმძღვანელობდენ საჭმელების ამორჩევას. და, რასაკვირველია,

ეროვნული ბიბლიოთეკა



გემრიელს ამოარჩევდენ. ძნელი წარმოსადგენია როგორი იქნებოდა საუზმე და სადილი ამ დღეს. მერე ზოგიერთი საჭმელი ხელით შეეძლოთ ეჭამათ და ემაწვილებს ეს ერთი ათად სასიამოვნოთ მიაჩნდათ. ერთხმათ ყველანი გაიძახოდენ, ასე გემრიელათ ჩვენ არა გვიჭამია რა.

ძნელი ასაწერია ის საუცხოვო ადგილი, რომელიც ამ:თ დროს გასატარებლათ ამოერჩიათ. ეს ადგილი პატარა მიყრუებულ ტბის ახლოს იყო, მინდორ ველზე, ფიჭვნარი ტყის გვერდით, რომელიც წყლამდის ჩადიოდა. უსწორი ბილიკი მიიკლაკნებოდა გვიმრით მოფენილ ჭაობზე, სადაც პატარ პატარა წყაროებს ჩოჩქოლით თავი მოეყარათ, რომ სხვა და სხვა ადგილას გაფანტულიყვენ, გვიმრში მიმალულიყვენ, ბოლოს ლერწმის მფარველობით ტბის ჭაობში გამქრალიყვენ. ამ წყალთან ახლოს ხარობდენ ვერცხლოვანი ვერხვის ხეები, მათ ძირს მოფენილი იყო ფერად ფერადი მშვენიერი ბალახი, რომელიც ისეთ სუნნელებას ჰფენდა, რომ ლიკლ-ტიკლის სიტყვითაც ძნელი წარმოსადგენი იყო. ტბაში დიდმალი კალმახები ცურავდენ და ზღვიდან მოფრინდებოდენ თეთრ ფრთებიანი ფრინველები. ისინი ყურყუმელაობდენ ტბაში, ბანაობდენ და დიდი ხმაურობით გაფრინდებოდენ შორს, შორს ზღვის სივრცეში.

საუზმის შემდეგ ყმაწვილები თვალ ხუჭუნას თამაშობდენ და ბევრ სხვა მხიარულ თამაშობაში ატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდენ დროს.

მზიანი დღე იყო და კი არა ცხელოდა. პატარებიც კმაყოფილნი იყვნენ. მთელი წელიწადი რომ ეფიქრნათ, ამაზე უკეთეს დროს გატარებას ვერ გამოიგონებდენ.

ჩაის შემდეგ ისევ თამაშობას მოჰყვენ, ხეებზე ცოცავდენ, წყალში ჭყუმპალობდენ, ქვებითა და სილით აგუბებდენ წყაროებს. ბოლოს ყველანი დასველდენ, მოიღალენ, მაგრამ მალიან ბედნიერათ სთვლიდენ თავს. პაწაწა მამიამ თავისი რძე მთლათ დალია, „ჭიჭყინა" მოჰყვა მთქნარებას, მაშინ გადიამ უბრძანა მეეტლეს, რომ დროა შინ დაბრუნდენ.

მთელი დღე ლიკლ-ტიკლი მხიარულათ და ბედნიერათ გრძნობდა თავს, მაგრამ მაშინ კი, როდესაც ცხენებს აბამდენ წასასვლელათ, ლიკლ-ტიკლმა იგრძნო, რომ სახლში დაბრუნება არ უნდა, ამისთანა მშვენიერ ადგილს ასე ადვილათ ვერ დასტოვებდა და მისი სიხარული და ბედნიერება უცბათ გაქრა. თავის ნათქვამობამ თავი იჩინა მასში, ათასი აზრები, თითქოს შავ-ფრთებიანი პეპელა გულში შეუძვრა და, როდესაც ყველა ქრიამულით და სიცილით ბინავდებოდენ ეტლებში, ლიკლ-ტიკლი ჩუმ-ჩუმათ გაიქცა ვერხვის ხეებისაკენ, ტბასთან და გვიმრებში მიიმალა.

როდესაც ემაწვილები ჩასხდენ ეტლებში, გადიაც, ლიზაც და ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლიკლ-ტიკლიც მათთან არის, მხოლოთ ეგონათ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე ეტლში, სადაც თვითონ არ ისხდენ. მხიარული ყვირილით, სიცილით გაუდგენ გზას, დღესასწაულის დედოფალი კი ვერხვის ხეებთა შორის, ტბასთან, ბალახებში მიმალული დარჩა. მას ჯერ ეს ხუმრობათ მიაჩნდა და კინაღამ ხმა მაღლა გადიხარხარა, როდესაც თომამ დაიყვირა:

— სადა ხარ ლიკლ-ტიკლ?

მან სიცილი ძლივ-ძლივობით შეიკავა. ის გარინდული იჯდა სურნელოვან გრილ ბალახებში და მხიარული და კმაყოფილი უცდიდა, როგორ მას ეტლები შორდებოდა. მაგრამ როდესაც დაიძრენ, ცხენების ფეხის ხმა და ყმაწვილების ყივილ-ხივილი აღარ მოისმა, ლიკლ-ტიკლის მხიარულობა გაქრა. მზე ჩავიდა, ხეები შავათ გამოიყურებოდენ, წყალიც სულ შავათ გამოჩნდა. მტრედების გუგუნი შეწყდა—დაემინათ, მხოლოთ ტბაზე კალმახები ზოგჯერ აფრთხიალდებოდენ ან ფრინველის უსიამოვნო ჩხავილი შემოესმოდა.

ლიკლ-ტიკლმა უცბათ მარტოთ მარტო იგრძნო თავი, ბალახებიდან გამოხტა, შარა გზაზე გავარდა და დაიყვირა:

— შედექით, არ გესმით, შედექით!

ვერავინ გაიგო, პასუხი არავინ მისცა, მხოლოთ მთა-გორაკებმა მისი ხმა გაიმეორეს და მან უფრო დაანაღვლიანა:

რა უბედური იყო ლიკლ-ტიკლი ახლა! თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლეში ასეთი უბედური ჯერ არ ყოფილა, თანაც იცოდა, რომ სულ თავისი ბრალია.

— შენ რომ ცოტა მაინც იფიქრო, სანამ რამეს ჩაიდენ, ხშირათ ეტყოდა მამა.—კარგი იქნება, თორემ ყოველთვის მოსაზრება გვიან მოგდის თავში.

ლიკლ-ტიკლი იშვიათად ტიროდა, მაგრამ ახლა კი მდუღარე ცრემლები გადმოსდიოდა თვალებიდან. ისე დიდხანს ტიროდა, რომ მტრედებმა გაიღვიძეს და ხეებიდან ღუღუნს მოჰყვენ — თითქოს ემაწვილს ეუბნებოდენ: ნუ ტირი სუზი, ნუ ტირი.

ლიკლ-ტიკლი ერთ წამს გამხიარულდა.

— მინდა და ვიტირებ, მერე შენ რა გინდა!

მაგრამ მაინც შეაჩერა ტირილი. მტრედიც მიუჩდა.

როდესაც ლიკლ-ტიკლმა ნახა, რომ ვერავის ვერაფერს გააგონებს და ღამის გათევება ტყეში მოუხვდება—აღარ ტიროდა, უნდა მოწყობილიყო ისე, რომ ეს ღამე აქ გაეტარებინა რაც შეიძლება მოსვენებით. ცაზე გამოჩნდა ზოგიერთ ადგილას ვარსკვლავები და წყალში ციმციმი გაჰქონდათ. მთვარემ ნელ-ნელა ხეებიდან გამოიხედა. საერთოთ მშვენივრობა იყო, მხოლოთ ემაწვილი მარტოობას გრძნობდა, შიშმა აიტანა. მდინარის ადგილი, სადაც ბავშებმა დააგუბეს წყალი, მოფენილი იყო მაღალი ხშირი დეკათი (როდოდენდრონით.) მის გვერდით ყვავოდა ხშირი გვიმრი. ლიკლ-ტიკლი გაემართა იქითკენ. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახლა სულ პატარათ და უმწეოთ გამოიყურებოდა. მდინარესთან რაღაც თეთრი ნივთი დაინახა. პირველათ ლიკლ ტიკლის შეეშინდა, გული აუფანცქალდა, მაგრამ თავის თავი გაამხნევა: „მე უნდა გულადი ვიყო, გულადი! მივიდა ახლოს და ნახა, რომ კალათი გდია.

ამან მოაგონა სახლი. „შენც და მეც დავიწყებული ვართ, ჩემო მეგობარო! წამოიძახა ყმაწვილმა და ისევ ტირილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა და ჩაიხედა კალათაში. იქ ჭურჭელი იყო, მხოლოთ ორი შეკრული ნახა: ერთში ტკბილი ქადები იყო და მეორეში ბრინჯის კუპატები.

ეს კაი ნუგეში იყო ამისათვის, მოუჯდა კალათას და კარგა ისაუზმა. მერე წყაროდან ფინჯნით წყალი ამოიღო და დალია. ბოლოს მოემზადა დასაძინებლათ. დაიჩოქა, ილოცა, მერე გვიმრში ჩაიმალა და თავი მიდო ბუჩქებში.

ჯერ ყურს უგდებდა ღამის სიჩუმეში წყაროს ჩუხჩუხს, ხან და ხან შორიდან მოისმოდა რომელიმე ჭაობის დიდ ფრინველის ჩხავილი. ვერხვის ხეებიც რაღასაც ჩურჩულებდენ. მაგრამ ამას არ ეშინოდა, შეჩვეული იყო ბოლოს ყველა ხმები აირ დაირია. ლიკლ-ტიკლს დაავიწყდა მარტოობაც და ნაღველიც და ღრმათ ჩაიძინა, როგორც თავის სახლში.

უსათუოთ გაიკვირვებთ, როგორ მოხდა, რომ დანარჩენ ყმაწვილებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ლიკლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიკლი მათთან არ იყო. ყველანი ძალიან დაღალული იყვნენ, ეძინებოდათ და ამასთანავე ეგონათ, რომ მეორე ჩასაჯდომში იქნებაო. გზის შესახვევს რომ მიუახლოვდენ მაკდონალდის ხუთ ძმა-დებს ყველანი გამოესალმნენ. ისინი თავიანთ სახლში წავიდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეამჩნიეს, რომ ლიკლ-ტიკლი მათთან არ არის. მხოლოთ როდესაც პაწაწებმა დაიძინეს გადიამ უთხრა ლიზას:

— წადი შენ და ლიკლ-ტიკლს თმები დაუვარცხნე! მინდორში ბევრი კოტრიალით თმები ბალახით სავსე ექნება.

მხოლოთ ახლა შეამჩნიეს, რომ ლიკლ-ტიკლი არსად იყო!

იმ ღამეს სახლში დიდი წვეულობა ქქონდათ და დედამ ჩვეულებრივ თვითონ ვერ დააწვინა ბავში. ბევრი ჯაფა მოუნდათ, სანამ სტუმარ ბავშებს თავთავიანთ სახლში გაისტუმრებდენ. მთელი საათის განმავლობაში ეძებდენ ლიკლ-ტიკლს.

ბოლოს უთხრეს დედას. ძნელი წარმოსადგენია რანაირა შეწუხდა დედა, არ იჯერებდა, რომ შვილი დაეკარგა. ხელ ახლათ დაიწყეს ძებნა. მაშინ თომამ წამოიძახა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ მაკდონალებთან წავიდა, ისე სასურათ!

მაკდონალები კარგა შორს იდგენ, მამა თვითონ წავიდა და თან წაიღო თბილი შალები, რომ გაეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია ბავში. ცხენი მთელი დღის სიარულით დაღალული, ნელა მიდიოდა, გზაც ხომ ძალიან ცუდი იყო ისე რომ როცა იქ მივიდენ—ყველას ეძინათ. კარებს ბევრი ბრახუნი მოუნდა, ყველა ფეხზე დადგა, დაეკითხენ სათითაოთ ბავშებს. ნამძინარებმა და გაკვირვებულებმა საერთოთ თქვეს, რომ მათთან არა მჯდარა ლიკლ-ტიკლი და წამოსვლის დროს ის არც ენახათ იმ ადგილას, სადაც პიკნიკი იყო.

მამა ძალიან შეწუხებული სახლში დაბრუნდა. თუმცა ლიკლ-ტიკლი ურჩი, არ გამგონი ბავში იყო, მაგრამ მამას უსაზღვროთ უყვარდა. ის წარმოდგენა, რომ შესაძლოა წყალში დამხრჩვალიყო, ეტლიდან გადმოვარდნილიყო, ან მინდორში ღამე გაეტარებინა, აცახცახებდა მას.

მხოლოთ და დილით დაბრუნდა ის სახლში. დედა ფერმკრთალი და აღელვებული უცდიდა ქმარს. იმ ღამეს არავის დაუძინია, ტანთ არავის გაუხდია. თომასაც კი არ დაუძინია, თუმცა, როდესაც დაბრუნდენ, მას მაშინვე ძილი ერეოდა, იმასაც ტანთ არ გაუხდია და ყოველ კუთხეში ეძებდა ლიკლ-ტიკლს, იქნება მიმალულიაო.

როგორც კი დაბრუნდა ლიკლ-ტიკლის მამა, მაშინვე ხელ ახლათ წავიდა. სუყველა მამა-კაცები ვინც კი სახლში იყო, ყველანი ცხენებით გაჰყვენ. თომაც შეეხვეწა ბიძას და ისიც თან წაიყვანეს.

თენდებოდა, ვარსკვლავები მიიმალენ, როდესაც

ესენი მივიდენ იმ ადგილას, სადაც პიკნიკი ჰქონდათ. ყველგან სადაც გორაკები და ჩადუნის ბუჩქები შეხვდებოდათ ემებდენ ბავშს. ტბაშიაც იხედებოდენ. სუ ყველა ფრინველები აახმაურეს, რადგან მოსული ხალხი გაჰკიოდა: ტიკლ! ტიკლ! ტიკლ!

ტყეც იმეორებდა: ტიკლ—ტიკლ—ტიკლ.

ტიკლს კი მოსკენებით ეძინა მშრალ, მყუდრო ადგილას. თავი ედო ჩადუნის ბუჩქზე, კაცებმა იპოვეს კალათა, მაგრამ თვითონ ლიკლ-ტიკლი კი არა ჩანდა. ბოლოს თომა ფერ მიხდილი და საშინლათ დაღალული უცბათ წააწყდა რაღაც რბილ რამეს, და წაიქცა. ამაზე ემაწვილმა შეჰყვირა, პასუხი გასცეს. ამ ადგილას ჩადუნას ბუჩქი ისე მაღალი იყო და მისი ფოთლები ხშირი, რომ ემაწვილი ვერავინ ვერ დაინახა, ერთბაშათ ბუჩქიდან გამოჩნდა გაწეწილი ოქროს თმიანი თავი და შემდეგ პატარა რგვალი სახე. ტიკლის მამამ ისეთი სიხარულით და უცნაური ხმით დაიყვირა, როგორიც მისგან შვილს თავის დღეში არ გაეგონა და რომელიც არას დროს სანამ ცოცხალი იქნება არ დაავიწყდება. ,,მადლობა ღმერთს! ლიკლ-ტიკლ.

(დასასრული)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მელა.



მეტის მეტი ცუღლუტი ვარ,
საშინელი ცრუ პენტელა,
ტანით მოკლე, მოსხლეტილი
ბეწვ ლამაზი და კუდ-გძელა.

პატარები ვერ მამჩნევენ,
მაგრამ ისე მიცნობს ყველა,
და თუ სადმე მომასწრობენ
არ ამცდება სახრჩობელა.

ჩემებურათ თუ დავიწყე
მოფერება და ლუკლუკი,
სულ ადვილათ მივარდება
ვარია და ბატის ჭუკი.

ჩემი ბრალი როდი არის,
თუ ცრუ ვარ და აბეზარი,
დაბადებით ასეთია
სადაც ნახოთ ჩვენი გვარი.

**შიო მღვიმელი.**



# კოწო და მისი ამხანაგები.



### როგორა ცხოვრობდა ერთი ძუ მგელი.

თოვლმა ჩამოყარა. ყინვებიც დადგა. მგელი შიმშილით კბილებს აკრაჭუნებს. დიდი ხანია არა უჭამია რა. ყოველ ღამე გარბოდა სოფელში, გარშემო უტრიალებდა, მაგრამ ახლოს მისვლას ვერა ბედავდა. ძაღლები მაშინვე ყეფას ასტეხდენ და სოფელიც ახმაურდა. ბოლოს, როგორც იყო გაბედა.

ბნელი ღამე იყო, ქარი ცოტათი ქროდა. ძუ მგელმა ქარს ზურგი შეაქცია, რომ ძაღლებს ალღო არ აეღოთ. იგი ფრთხილათ აბიჯებდა, თითქმის სოფლის კალოებს მიუახლოვდა. სიჩუმე იდგა. სოფელს ეძინა. ძაღლებმა ვერა გაიგეს რა.

ძუ მგელი მიეპარა ფარეხს, საიდანაც ცხვრების სუნი მოდიოდა და ბატკნების ბღავილი მოისმოდა. ამ ფარეხში ჰყავდათ ცხვრები თავიანთი კრავებით. ფარეხის კედლები სქელი ძელებისა იყო, მისი გატეხა არ შეიძლებოდა, მიწიდან შეძრომას დიდ ხანს მოუნდებოდა. ძუ მგელი ახტა ფარეხის ჩალის სახურავზე და დაიწყო ტოტებით ჩალის გაფანტვა, ქვეშიდან სითბო ამოდიოდა, ცხვრის სუნი მოისმოდა. მას სიფრთხილე დაავიწყდა, ფარეხში ჩახტა და ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ცხვარს მივარდა, დაახრჩო და შიგნეულობის
ჭამა დაუწყო.

უცბათ გარედან მოესმა ხმაურობა. მუ მგელი
სმენათ გადაიქცა. მაღლმა ერთხელ ორჯელ დაუყეფა.
ეტყობოდა შეეტყოთ, რომ ფარეხში ხმაურობაა. მგელს
უნდა თავს უშველოს, გაიქცეს, მაგრამ ჯერ არ
გამძღარა, უნდა თან გაიტაცოს ცხვარი, ვერ ერევა,
მძიმეა, მერე მივარდა კრავს, კბილები მოჰკიდა და
უნდოდა ასულიყო სახურავზე და ისე გაპარულიყო.
ჭერი მაღალი გამოდგა. შიგ ჩასვლა ადვილი იყო,
მაღლა ასვლა კი ძნელი.

გარედან ხმაურობა თანდათან მატულობდა, მაღ-
ლების ყეფა მოისმოდა, ხალხი ფარეხს უახლოვდე-
ბა, ლაპარაკობენ, კარებს აღებენ კიდეც. მგელ-
მა წამს მიატოვა კრავი, ახტა სახურავზე, იქიდან შიგ,
მიწაზე, ჩამოხტა და გავარდა სოფლიდან. მას ესმოდა
ყვირილი: „მგელი, მგელი, დაიჭით, ესროლეთ“. გა-
ისროლეს თოფი კიდეც. რამდენიმე საფანტმა გვერდ-
ზე გაისრიალა. მგელი უწყალოთ მირბოდა. კარგა
ხანს მოისმოდა კიდევ ყვირილი და მაღლების ყეფა.

აი, ტყეც ახლოს არის. მკრთალ თვარის შუქზე
თოვლი ნათლათ ბრჭყვინავს. მგელი შედგა. სული
მოიბრუნა, მდევნელების ხმა აღარ მოისმოდა. ის
თოვლზე დაჯდა და დაიყმუვლა. რამდენიმე წვეთი
თბილი სისხლისა და ხორცი რომ გემა უფრო მრი-
ელ იგრძნო სიმშილი. ჯერ ნელ-ნელა ღმუოდა, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე უფრო და უფრო ხმა მაღლა მოჰყვა. ამ დროს ტყიდან, ხევიდან, გამხმარი ბალახებიდან წამოვიდენ მგლები მშიერნი, დაღვრემილნი, გარს შემოუსხდენ მუ მგელს და დაიწყეს თავიანთი სიმღერა, რომელიც შორი გზიდან წამოსულ მგზავრს შიშს აგრძნობინებს, თავზარს სცემს. იგი აჩქარებს ცხენს, რომ მალე მივიდეს თავის ბინაზე. ცხენიც გაიგონებს თუ არა ამ სიმღერა-ღმუილს გვერდზე გასტება, მერე მოჰკურცხლავს. საშიშია ღამე გავერანებულ თოვლიან ადგილას მეტადრე როდესაც მოისმის მგლების ღმუილი.

ჩვენი მუ მგელი გახდა ბელადათ ამ ხროვა მშიერი მგლებისა. ერთხელ ესენი ისხდენ გზის ახლოს. მთვარიანი ღამე იყო. უცბათ ამათ მოესმათ ღორის ჭყივილი. შორიდან დაინახეს სამი ცხენით შებმული მარხილი, უკან თოკით მიბმულ რაღასაც მიათრევდა. დრო და დრო მოისმოდა გოჭის ჭყვირილი. მგლებს ეგონათ მარხილზე მიბმულია გოჭი და გამოეკიდენ. ერთმა გამოცდილმა მოხუცმა მგელმა ყურები აცქვიტა, იგრძნო რაღაც ხიფათი, მაგრამ ახალგაზრდა მუ მგელმა არ დაუჯერა. გაექანა და მას მიჰყვა მთელი ხროვა მშიერი მგლებისა.

ისინი სწრაფათ გამოუდგენ მარხილს, აი სულ ახლოს მიუახლოვდენ. მარხილში მგზავრები ისხდენ და ამათვენ იცქირებოდენ. ისიც ნახეს, რომ მარხილი თივას მიათრევდა და არა გოჭს.

მგლებმა თავიანთი შეცდომა, რომ დაინახეს უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათ შედგენ. მთვარის სინათლეზე იელვა თოფმა და ერთი მოხუცი მგელი გააგორა. გავარდა მეორეთ თოფი და გადაკოტრიალდა მეორე მგელი. ცხენები მიაქანებდენ მარხილს. მგლები ერთ წამს გაოცებული შედგენ, მერე გაშმაგებულნი ხელ ახლათ გამოუდგენ მარხილს.

საშინელი სისწრაფით მირბიან ცხენები, საშინელივე სისწრაფით მირბის ხროვა მგლებისა. ესენი კიდეც სულ ახლოს მიუახლოვდენ, მარხილს მიეწივნენ. ხელ ახლათ გავარდა თოფი, ხელ ახლათ დაიჭრა მგელი, ის კოჭლობს, უკან რჩება. დანარჩენები კი ისევ მიჭქროლავენ. ეტყობა მგზავრები ცდილობენ თავს უშველონ. მგლები ეს ეს არის მიეწევიან, დაჭგლეჯენ მათ.

მაშინ მათ მოსაშორებლათ მგზავრებმა გოჭი გადუგდეს. ერთ წამს გახლიჩეს, გადაყლაპეს და ხელ ახლათ გამოუდგენ ცხენებს. მაინც გაუჭირდათ, ვერ მიეწიენ და სოფელი კი სულ ახლოს არის. ცოტა კიდევ და მგზავრები გადარჩებიან, სახლში იქნებიან. მგლები კი ისევ ისე მისდევენ, უახლოვდებიან. საბრალო ცხენები ქანც გაწყვეტილნი მირბიან, ოფლში იწურებიან. მგლებიც მოიღალენ, მათ გადმოუგდიათ ხის ნიჩბების მსგავსი სქელი ენები, თვალები უბჭყვინავენ... გააფთრებული მგლები საშინელი სანახავისა არიან... მგზავრებმა მიაღწიეს სოფელს და მგლები მალა უნებურათ მოშორდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლები დაქანცულნი ნელ-ნელა ბრუნდებიან უკან, მკვდარ ამხანაგებს პოულობენ და უღვთოთ სჭამენ მათ.

გაზაფხულს ძუ მგელმა იგრძნო რომ მალე შვილები ეყოლება. თხრილში იპოვა მელიას ძველი ბუნაგი, გათხარა ღრმათ, მოფინა ხავსით, რომ სითბო ყოფილიყო.

ოთხი ლეკვი დაყარა. ისინი ძალიან გვანდენ ძაღლის ლეკვებს—პატარები, ბრმები, უძლურები, სიცივით კანკალებდენ და საბრალოთ წკმუტუნებდენ. დედა ლოკამდა, ძუძუს აწოვებდა და თავისი ბალნით ათბობდა. გვერდზე უწვა და სმენათ იყო გადაქცეული, რომ მტერი არ შემოსეოდა, ახლა ის შვილებს უფრთხილდებოდა, თავის თავზე აღარ ფიქრობდა. ძუ მგელი საზოგადოთ ბოროტია, მაგრამ თავისი შვილები კი ძალიან უყვარს.

ზოგჯერ რამდენიმე დღე ძუ მგელი თავის ბუნაგიდან არ გამოდის. ხდება, ღონე ეკარგება, შიმშილით მუცელი ფერდებზე ეკვრება. კბილებს აძაგძაგებს. შიან, ძალიან შიან, მაგრამ შვილების დარდი აქვს, ვერ შორდება მათ.

ბოლოს ვეღარ ითმენს, ლეკვებს ხავსში ახვევს, რომ თბილათ იყვენ და თვითონ გარბის სოფელში დავლის საშოვნელათ. იქ დათარეშობს მშიერი, ნესტოებს აფართოებს, რომ ჰაერი ჩაისუნთქოს, იშოვოს რაიმე თავისი საკბილო. რანაირათ შიან? მაგრამ ის

მაინც მახლობელ სოფელში არ მიდის, ეშინიან მის კვალზე არ იპოვონ მისი ბუნაგი და შვილები არ მოუკლან. აი, მან გადუხვია სოფელს, წავიდა მოშორებულ დაბაში. ღამე ბნელი დაუდგა, ცოტათი წვიმდა, მგელს ეშინოდა არავის ჩაუვარდეს, მაშინ რაღა ეშველება მის შვილებს. ერთბაშათ იგრძნო ლეშის სუნი. რამდენიმე ნაბიჯი და ლეშთან მივიდა, დაუწყო გლეჯა, მთლათ ყლაპავდა დიდრონ, დიდრონ ნაჭრებს. როდესაც გაძღა—მოიტაცა დანარჩენი ერთი დიდი ნაჭერი—შვილებისთვის.

ლეკვები მოიზარდენ, რომ აღარა ჰყოფნიდათ, დედას მოჰქონდა მათთვის ხორცი, თვითონ უღეჭავდა და ისე აჭმევდა. გაზაფხულს, როდესაც ბუნება გამოცოცხლდა—დედა უზიდავდა ბაყაყებს, თაგვებს, და კურდღლებს. ლეკვები ეთამაშებოდენ მათ და თან და თან სწავლობდენ დავლის დაჭერას.

როდესაც ლეკვები იმდენათ მოიზარდენ, რომ შეეძლოთ საზრდოს შოვნა დედამ მიჰგვარა მოხუცებულ მგლებს, რომ იმათ ჭკუა—გონება და გამოცდილება ესწავლებინა მათთვის. ეს მგელმა კი ადრინდებულათ დაიწყო მარტო ცხოვრება.

ეს მგელი დიდ ხანს ცხოვრობდა. ძალიან ფრთხილი იყო, ბოლოს კი უბედურება თავიდან ვეღარ აიცილა.

მგლებმა თავი მეტათ მოაბეზრეს სოფლელებს, გამრავლდენ, გაშეუპოვრდენ. აღარც ცხვარს, აღარც

ბატს და ქათამს არ უენებდენ და ხალხმა გადასწყვიტა ბოლო მოუღონ, გასწყვიტონ ისინი. მონადირეებიც თოფებით გამოვიდენ მათ საშველათ. სოფლის დედაკაცებიც კი შემოერტყენ ტყეს წივილ-კივილით. ამ ხმაურობაზე ნადირი ტყეში აირ-დაირია. მუ მგელი მშიერ-მწყურვალე იჯდა თავის ბუნაგში და ფიქრობდა, დავლა როგორ იგდოს ხელში. ერთბაშათ მოესმა ხმაურობა, ყვირილი, ხეების ტოტების ლაწა-ლუწი. გული გადაუტრიალდა, აქეთ-იქით გაიყურა, სმენათ გადიქცა. სულ ახლო და ახლო ისმოდა ხმაურობა და მგელი გამოვარდა ტყის განაპირას და პირ და პირ მონადირეს კი წააწყდა. თოფი გავარდა და მუ მგელი მკვდარი დაეცა.

იმ დღეს ხალხმა ბევრი მგლები გამოიტყუა ბუნაგიდან და დახოცა. მას აქეთ სოფლელებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს. მგლები კარგა ხანს იმ მხარეს აღარ დათარეშობდენ.

(დასასრული)

ანასტასია წერეთლისა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქარის ფრინველი.



გლუსკაპი *) სცხოვრობდა, როგორც ყოველი ადამიანი. ნადირობდა, იჭერდა თევზებს. შვილდ-ისარს წაიღებდა, ჩაჯდებოდა ნავში და დასცურავდა. ხშირათ ძლიერი ქარი უშლიდა ნიჩბების მოსმას და ნავს უკანვე მიუგდებდა ნაპირს. ერთხელ ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. გლუსკაპმა სთქვა: მეტის მეტია ეს ფრინველ-ქარი, ვუხოვსენი. წავალ ერთი, მოველაპარაკები. წავიდა ვუხოვსენის საძებნელათ. ბევრი იარა, სულ სამხრეთისაკენ. დაინახა დიდი, თეთრი ფრინველი. ის იჯდა კლდეზე, სულ მაღლა ჰაერში.

„ბაბუა, უთხრა გლუსკაპმა, მეტის მეტია, სულ ქარიშხალს გზავნი.. არ გეცოდება შენი შვილები. ცოტათი მოუკლე ფრთების ქნევა.

ვუხოვსენი გაჯავრდა.

— ვინ მიბედავს ამას, დაიყვირა მან. საუკუნოებით ვზივარ აქ და სანამ ვინმე დამელაპარაკებოდა, ისმოდა ჩემი ხმა, ჩემი ფრთები კი გზავნიდენ ქარს. ისე ვაქნევდი ფრთებს, როგორც მოვისურვებდი და არავის არა აქვს ნება ჩაერიოს ჩემს საქმეებში.

*) გლუსკაპი—ღმერთი, გმირი ვაბანაკელ წითელ კანიანებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ გლუსკაპი გაიზარდა, გადიდდა, თავი ცას ეკვროდა. მიწა შეინძრა, გასწია ხელი, სტაცა ხელი ვეება ფრინველს, რომელიც გზავნიდა ქარიშხალს, შეუკრა ფრთები, გადააგდო კლდეებში. თვითონ წავიდა. აღარ იყო ქარი, აღარც ქარიშხალი. გლუსკაპს შეეძლო თავისუფლათ ეარა ნავით. მთელი დღეები დასცურავდენ მათი წითელ-კანიანები. ირგვლივ იყო სიჩუმე, სიწყნარე. მალე შეამჩნიეს, რომ მეტი იყო ასეთი დარები. წყალი აყროლდა. ნიჩბებს ეკვროდა შლამი და ტალახი. მოძრაობა წყალში გაძნელდა, და ბოლოს წყალი ისე გამწვანდა, რომ გლუსკაპმაც კი ვეღარ შესძლო მოგზაურობა.

მაშინ მოაგონდა ვუხოვსენი, ქარის ფრინველი, რომელიც მან შეჰკრა და გადაისროლა კლდიდან. კიდევ გასწია სამხრეთისაკენ. დაიწყო ძებნა კლდეებში და მოსძებნა ქარის ფრინველი. ის იყო ცოცხალი, რადგანაც ის უკვდავია. გლუსკაპმა დაელაპარაკა, ასწია, შესვა კლდეზე, სადაც პირველათ დაინახა. შემდეგ წასვლისას გაუნთავისუფლა ერთი ფრთა, მეორე კი შეკრული დაუტოვა.

ასე ემჯობინება—სთქვა მან. ამის შემდეგ აღარ იყო ქარიშხალი, როგორც უწინ, არც სულ უქარო დარი იდგა, რომელიც იმ ზომამდე ავნებდა წითელ-კანიანებს. ქარი ჰქროდა რამდენათაც საჭირო იყო. ეს კი მოახერხა ძლიერმა გლუსკაპმა.

ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ლოდინი ფრთოსნისა.



შვილს ველოდი შორის გზიდან
რაკი დათბა,—გაზაფხულდა;
დიდ ლოდინთან დიდი თმენა
აღელდა და აზღვავგულდა.

გავცქერი მთის მწვანე კალთებს
და უფრო შორს ცის კიდურებს;
თვალთა ხედვას ვაასკეცებ,
ვიმახვილებ სმენათ ყურებს.

მაგრამ თვალი ვერას ხედავს,
ვერც რას ისმენს ფრთხილი ყური,
არც ხეებზე ისმის ფოთოლთ
შრიალი და შარი-შური.

ჩემი შვილის მოსვლას უმალ
შტო-ფოთლები გაიგებდენ;
იქ რომ დაიჭიკჭიკებდა
შრიალით აქ გადმომცემდენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბად სადმე ქორ მიმინოს
ემსხვერპლა და შეეწირა,
გაზაფხულს თან ველარ მოჰყვა,
და ვერც დედამ დაიტირა.

ტირილით რას გავაკეთებ!
თუ ლოდინი არ ასრულდა,
მის ჭიკჭიკი, სხვებთან ერთად
დღეს ხომ მაინც გაზაფხულდა!

მე ვერ შემცვლის მწუხარება,
ვერც გადამხრის აქეთ იქით;
მაინც ველი გზიდან შვილსა
გაზაფხულთან ტკბილ ჭიკჭიკით.

შიო მღვიმელი.

26 მაისი 1919 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ვასილ ბარნოვი.

(ოცდა ათი წლის იუბილეის გამო.)

იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო განიცდიდა მონობის საშინელ მარწუხებს, როდესაც არ შეგვეძლო არამც თუ თავისუფალი მოქმედება, არამედ ხმის ამოღებაც კი, როდესაც ჩვენი ხალხი გადაგვარების და მოსპობის გზას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგა, ჩვენდა საბედნიეროთ გამოდიოდენ ისეთი პირნიც, რომელნიც ცდილობდენ მთელის თავის ძალღონით შეეჩერებინათ ეს გადაგვარება ყოველ ქართველში, აღეგრძნოთ ძლიერი სიყვარული სამშობლოსადმი. დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო უკვე თავისუფალია, როცა ეს გადურჩა საშინელ, ენით უთქმელ საფრთხეს, მადლიერმა ერმა მოიგონა ამ პირების ღვაწლი და ცდილობს, შეძლებისა და გვარათ პატივი სცეს მათ. ერთი ამათგანი არის ვასილ ბარნოვი.

9 გიორგობისთვეს სახაზინო თეატრში გადაუხადეს ოცდა ათი წლის იუბილე ამ დიდებულ ქართველს. ვასილ ბარნოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე. ის ოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლათ ერთგულათ ემსახურებოდა მას თავის კალმით. ამან წინ გადაგვიშალა სამშობლო ერის ისტორია, დაგვანახვა მისი წარსული; ბევრი უცხო, ტკბილი სანეტარო რამ მოგვესმის მისგან; გონება ცოცხლდება, მახვილდება. ბარნოვის გმირები განსახიერებანი არიან მთელის ერისა, დაკრთიან ყველა ქართველის წინაშე და შემოგვჩურჩულებენ მისს დიდ ღვაწლს. ფერად-ფერადი სურათნი აწმყო წარსულისა, საქართველოს ცალ-ცალკე კუთხეებისა, მწყობრათ, სიყვარულით ირაზმებიან ჩვენს წინაშე. ყოველ ნაწარმოებში თაყვანის ცემა მძლეთა-მძლე სიყვარულისა, რომელიც ამაღლებს ადამიანის ბუნებას, აფაქიზებს, მომხიბლველ ჩანგის ჟღერათ ჩაგვლუღუნებს ყურში უკვე მივიწყებულთ, მიძინებულთ, მიმქრალშეუმჩნეველთ. ისინი კვალად ცოცხლდებიან, ვტკბებით, ვამაყობთ მათის არსებობით და ჩვენის ძლიერებით მთელი ჩვენი არსება იმსჭვალება მადლობით.

ვასილ ბარნოვი იმის გარდა, რომ დიდ რომანებს სწერდა, ჟურნალ ჯეჯილშიაც ათავსებდა საყმაწვილო ისტორიულ მოთხრობებსა: სესე, ხარაზი და სხვა.

ამის გამო, რასაკვირველია, ჟურნალ ჯეჯილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველებიც იცნობენ ვასილ ბარნოვს და ალბათ დიდი სიამოვნებით შეხვდენ მისს დღესასწაულს.

გარდა ამისა ვასილ ბარნოვი დიდი ხანია რაც მასწავლებლათ არის; მან აღზარდა მრავალი ნამდვილი ქართველი, ჩაუნერგა სიყვარული სამშობლოსადმი. მას ძალიან უყვარს თავისი ხელობა, იცის, რომ შეუძლიან ნორჩ ბუნებაზე მოახდინოს გავლენა და მთელ თავის ძალასა და ღონეს ზედ დაალევს. ცხოვრებით დაღლილი, როცა ის კლასში შედის და ხედავს, თუ როგორის გულმოდგინებით უსმენენ, ავიწყდება პირადი დარდები და აღფრთოვანებით ესაუბრება ყმაწვილებს. სანამ ჩვენს სამშობლოს ეყოლება ბარნოვისთანა ერთგულნი შვილნი, რომელნიც დარაჯათ დაუდგებიან, მანამ საქართველოს ვერას უზმენ მუმლსავით აშლილი მტერნი, ყოველ მათ ცდას წინ დახვდებათ მაგარი ზღუდე, აგებული თავშეწირულ ქართველისაგან. და ულმობლათ შემოუფანტვენ. იმედია სხვებთან ერთად „ჯეჯილის“ პატარა მკითხველებიც გულ წრფელათ უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს ამ ძვირფას მოხუცს, რომ კვლავ ხანგრძლივათ ჟღერდეს მის ხელში გრძნეული ჩანგი ახლათ განთავისუფლებულ სამშობლოს საკეთილ დღეოთ და თავის სადიდებლათ.

ანასტასია ერისთავი — ხოშტარიასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირემი.

(თარგმანი)

ცხოვრობდა მეფე. ჰქონდა ვეება ტყე. ამ ტყეში ჰყავდა ორი ირმის ჯოგი. ყოველ დღე რომელიმე ვეზირი ჰკლავდა ირემს მეფის სადილისათვის. სანამ ერთს მოჰკლავდენ, რამოდენიმეს დასჭრიდენ. დაკოდილი ირემი დადიოდა ტყეში, სანამ ძალ-ღონე არ გამოელეოდა, მერმე დაწვებოდა იქვე ხავსზე და მოკვდებოდა.

ირმებს ჰყავდათ ორი წინამძღოლი, ერთი მშვენიერი ოქროს ფერი! ეს იყო უმთავრესი. მეორე კი ჯოგის წინამძღოლი იყო. პირველს ეცოდებოდა დაკოდილი ირმები. ერთხელ მიმართა უმცროსს შემდეგი წინადადებით:

—ძმაო, ცუდია რომ ამდენი ჩვენიანები იღუპება. მოდი, ყოველ დღე, უყაროთ კენჭი, ვისაც ამოუვა კენჭი, ის უნდა წავიდეს მზარეულთან და დასდოს თავი მოსაკვეთათ. ამ რიგათ დანარჩენები გადარჩებიან.

უმცროსს მოეწონა ეს სიტყვები. ყოველ დღე რიგ-რიგათ უყრიდენ კენჭს და ვისაც კი ხვდებოდა კენჭი, ის სტოვებდა ჯოგს და მიდიოდა მზარეულთან. ერთხელ წასვლა ამოუვიდა ახალგაზრდა ირემს. მას ჰყავდა შვილი, რომლის დატოვება არ შეეძლო, ორთავეს მოკვლა კი იყო უკანონო. ის წავიდა თავის უფროსთან, უმცროს წინამძღოლთან, და უთხრა:—ო, ხელმწიფევ, ამშორდეს მე ჩემი ხვედრი. მე მყავს პაწია, უმწეო ვაჟი. განა სამართლიანია, რომ მე მომკვეთონ თავი?

წინამძღოლმა გააქნია თავი და სთქვა:

„ძალიან მწყინს, მაგრამ შენ გხვდა წილი და შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა წახვიდე მზარეულთან. ჩვენ დავდეთ პირობა და იქ კი არაფერი არ არის ნათქვამი იმ დედებზე, რომლებსაც სარჩენი შვილები ჰყავთ.

დედა დარჩა ძლიერ ნაწყენი. ის გრძნობდა, რომ არა აქვს უფლება მოკვდეს და დასტოვოს შვილი, მაგრამ, როგორ მოქცეულიყო, მან არ იცოდა.

ის სასოწარკვეთილებაში იყო, როდესაც მოაგონდა უმცროსი წინამძღოლი. მაზედ ბევრი რამ კარგი გაეგო. დედა ირემი წავიდა საჩქაროთ მასთან:

— მეფევ, დღეს უნდა წავიდე მზარეულთან და დავტოვო შვილი. ჩვენი მეფე ამბობს, რომ ამის აცდენა შეუძლებელია.

მეფე შეკრთა.

— ვიცი, სთქვა მან, ჩვენ პირობაში არ არის არაფერი ნათქვამი იმ დედებზე, რომელთაც რჩებათ შვილები. შენ უნდა დარჩე შენ შვილთან. სხვას უნდა ერგოს მზარეულთან წასვლა. წადი შენ შვილთან. მე მოგიძებნი ვინმეს, ვინც შენ მაგივრათ წავა.

დედა დაბრუნდა შვილთან, უმცროსი კი წავიდა მზარეულთან და დადო თავი მოსაკვეთათ. როდესაც მოვიდა მზარეული და დაინახა ირემთა მეფე, მოაგონდა, რომ მეფემ ბრძანა, ხელი არ ეხლო ირემთა ორთავე მეფეებისათვის.

გაკვირვებული მზარეული გაიქცა მეფესთან და მოახსენა:

— მშვენიერი ოქროს ფერი ირემი მოვიდა და უცდის, რომ მოჰკვეთონ თავი.

მეფემ ბრძანა მოერთმიათ ეტლი და ვეზირებით გასწია იქ, სადაც ბებერი ირემი ელოდა სიკვდილს.

„მეგობარო, უთხრა მეფემ, განა დაგავიწყდა, რომ შენ არავინ არ გახლებს ხელს. არც შენ, არც მეორე წინამძღოლს.

ირემმა ასწია თავი და უთხრა:—წილი ერგო დედა-ირემს, რომელსაც ჰყავს შვილი. უსამართლობაა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი მოკვლა. მე მოვედი იმის მაგიერ.

— ეს შეუძლებელია, წამოიძახა მეფემ. დედების და შვილების მოკვლა შეუძლებელია. შენც თავისუფალი ხარ და ის დედაც. წადი ტყეში.

— ო, მეფევ, უპასუხა ირემმა, ჩვენ კი თავისუფლები ვართ, მაგრამ სხვებს რა ეშველებათ ტყეში, საჭიროა მათი სიკვდილი?

მეფის გული მოლბა.

— არა, უპასუხა მან, მათ არ მოჰკლავენ. ეს უსამართლობაა. გაძლევ სიტყვას, რომ ამიერიდან აღარ მოჰკლავენ არც ერთ ირემს ტყეში.

მიუხედავათ ამ სიტყვებისა ირემთა მეფე არ ინძრეოდა. „ძმაო, ადამიანთა მეფევ, სთქვა მან, ტყეში ბევრი სხვა ცხოველებია. მათ რაღა მოელის? ნუ თუ დაღუპვა?“

მეფემ გაკვირვებულმა იმით, რომ ირემს უნდოდა თავი შეეწირა დედა-ირმის გადასარჩენათ, სთქვა:

„ადექი და გასწი ტყეში. აღარავინ არ მოჰკლავს ტყეში არც ფრინველს, არც რაიმე ცხოველს. გპირდებით ამას დღევანდელი შენი მოქმედების სახსოვრათ. მაშინ ირემთა მეფემ ასწია თავი, წამოდგა და წავიდა ტყეში:

ირმების ჯოგები შეაგროვა და გამოუცხადა, რომ ადამიანთა მეფემ აჩუქა მათ სიცოცხლე. შემდეგ დაგზავნა შიკრიკები მთელ ტყეში, რომ შეეკრიბათ ყველა ცხოველები და ფრინველები, რა გინდ პატარები არ ყოფილიყვენ. როდესაც შეგროვდენ, უამბო, თუ რას დაპირდა მეფე. ყოველი ცხოველის გული აღსავსე იყო სიყვარულით დიდი ირმის ჯოგის წინამძღოლისადმი, რომელსაც უნდოდა შეეწირა თავისი სიცოცხლე, და ამითი ეხსნა იგინი ხიფათისაგან და სიკვდილისაგან.

ა. ფ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დატანჯული მნათობი.

(ისტორიული ლეგენდა).



რწანისის ომიდან ლტოლვილი მეფე ირაკლი იჯდა ჩარდახში: არ სჭამდა, არ სვამდა, არც არავის იკარებდა. მის გულში ცეცხლის გენია ენთო... ალი სწვავდა, საიდუმლოთ იტანჯებოდა.

ერთგული მსაჯული, ლეონიძე, ჩარდახს გარს უტრიალებდა... მის გულშიაც საკირე აღგზნებულიყო... მაგრამ თუ ირაკლის გული, სამშობლოს განწირვის გამო, ბეღურას კვერცხის ტოლათ შეკუმშულიყო, სოლომონის გულს, სამშობლოს და მეფის ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო, ბასრი მახვილი ჰკვეთავდა, სისხლისაგან სცლიდა... ის, ვით ბრძენი, შორს მჭვრეტი და მცოდნე ირაკლისა, აშკარათ ხედავდა, რომ განაჩენი მეფისა სასტიკი იქნებოდა და მკაცრი, მაგრამ არ იცოდა, ვის წინააღმდეგ იქნებოდა პატარა კახის ბასრი მახვილი მიმართული—მტრისა, თუ მოყვრის!.. და მით უფრო იტანჯებოდა, რომ საშუალებას მოკლებული იყო, ეშველა პატრონისათვის.

მესამე საღამოს მეფემ გამოიხედა და სოლომონს უხმო... გაფითრებული იყო მეფე: სამი დღის ჯოჯოხეთურ ტანჯვას მოხუცი გაეტეხა.

ნაწამები იყო სოლომონიც მან მის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და თავჩაქინდრული უცდიდა განაჩენის გამოცხადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ადექ, ჩემო სოლომონ, შენი მეფე დღეს შორს არის... მას ემსახურე... მე დავთმე მეფობა... სამშობლოს კეთილდღეობისათვის... ძლივს წარმოსთქვა მეფემ და გული აუცრემლიანდა, სახეზე ხელი წაიფარა და შეტრიალდა.

ელდა-ნაცემი სოლომონი წამოიჭრა და გაქვავდა: მაჯის ცემა შეუჩერდა, თმა ყალყზე შეუდგა და ენა დაება ენა-წყლიანს.

— დიახ, რუსეთს ჩავაბარე ჩემი სამშობლო,— სთქვა მტკიცეთ ისევ მეფემ მეხის ხმით, თითქო ჰსურს უთხრას: „ცრემლები, რომელიც შენ ნახე ამ წამს, არ იყო ლაჩრის. არამედ ვაჟკაცისა“.

— ბატონო მეფევ!..

— ტყუილათ ნუ სცდილობ, ჩემო სოლომონ, დამარწმუნო წინააღმდეგში.

— ხალხი, მეფეო!..

— მისი ბედი გადაწყვეტილია!

— და ისტორია?!

— სამშობლოს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე ჩემს ისტორიას.

მე მოგახსენებთ სამშობლოზე, რომელსაც შენ მახვილი უნდა ჩასცე, უნდა მოკლა... თუ მას სიკვდილი მოელის, მოკვდება თავისთავად, მაგრამ ირაკლი გმირისაგან, რომელმაც ქვეყნიერებას გააცნო თავი, ვერ მოითმენს, სხვაზე არაფერი ვსთქვათ, სამშობლოს დედა მიწა არ მიგიღებს, მკვდარსა და ცოცხალს არ მიგიკარებს... ვზედავ მეფეო!..

— გაბედე, ჩემო სოლომონ. რამდენსაც მეტს გაბედავ გონივრულ სიტყვებს, იმდენათ მეტ მალამოს დასდებ ჩემს გულზე... მაგრამ გადაწყვეტილება ჩემი ასჯერ გაზომილია.

— დამღუპველია სასოწარკვეთილება მეფისა!

— გგონია, ჩემო სოლომონ, რომ შენს წინაშე სდგას ახალგაზრდა ირაკლი, რომლის სახელის გაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებაც კი-შიშის ზარს სცემდა მტერს... იგი მოხუცდა... და მოხუცს სასოწარკვეთილებაც ეპატიება.

— შვილები, მეფეო, უღლისწულები.

— ჩემს მტკივან ადგილს შეეხე, მსაჯულო!.. საჭიროთ ვხედავ, სიტყვა შეაბრუნო,—სთქვა მეფემ და სახე შეეჭმუხნა.

სოლომონი მიხვდა, რომ გაფიცხებულ გულზე არ შეიძლებოდა მამის წინაშე ლაპარაკი იმ შვილებზე, რომელთაც ზურგი აქციეს მცხოვან მამას, როდესაც მან სამშობლოს მტერს სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა და მართლაც მოხდენილათ შეატრიალა ენა.

— შენს ერთგულ მსაჯულს, მეფეო, ყოველთვის ნება ჰქონია მეფის წინაშე გულახდილათ ლაპარაკისა. ნუ ამხდი ამ პატივს და ნება მიბოძე, მოგახსენო, რაც განვიცადე მთელი ღამის უძინარმა, წუხელ გათენებამდე.

სთქვი, ჩემო სოლომონ... მითხარი, რა განიცადე... იქნება ტკბილი ოცნება მაინც ჩამატანო საფლავში, დამავალებ დიდათ,—უთხრა მეფემ და დაჯდა, მიუთითა საჯდომზე სოლომონსაც.

— ვით შენ აქ, ისე მეც გარეთ ვტანჯებოდი, მეფეო, მთელი დღე და ღამის უძინარი. ღამეებს ვათენებდი ცის ქვეშ და მოსაუბრეთ მყავდა ვარსკვლავები... მაგრამ არ მაკმაყოფილებდა უცვალებადო მათი სახე... ჩემი დამაკმაყოფილებელი, გულის სევდის უკუმყრელი მნათობი, დატანჯული, ვით ჩემი სამშობლო, ამოცურდა აღმოსავლეთითით ამ დილით—გათენებისას. ის მილეულ იყო, ნემსის ყურში გაეტეოდა... ის ჩაენთქა რაღაცას და ამ ვეშაპის პირიდან მოსჩანდა მხოლოთ ერთი ბეწო ნაწილი მისი, ნამგლისებრ გაკავებული და მისებრ წვერმახვილი... ის კვდებოდა, ისპობოდა... მოკვდა კიდეც, ჩემი თვალის წინ დალია სული... მაგრამ მოველი და უსათუოდაც მოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხვალ-ზეგ ამ მნათობს გაბრწყინვებულს დასავლეთის ცაზე. მართალია, ხვალ, ან ზეგ იგი ვეშაპს ეყოლება პირში ჩაჩრილი, მაგრამ ის თან და თან გაუსხლტება ამ საზარელ მხეცს პირიდან, გაივსება-გაიბადრება და ჩვენ დავინახავთ მას ცაზე ამაყათ მოცურავეს... ეს დატანჯული მნათობი მაგონებს ჩემს, მისებრ დატანჯულ, სამშობლოს; ვეტრფი იმასაც, როგორც უკანასკნელს და არ ვეძლევი სასოწარკვეთილებას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ სრულიათ ჩანთქმა-მონელება ჩემი სამშობლოსი არ შეუძლია არავის, მართალია, როცა ეს მნათობი, მტრის პირისგან გათავისუფლებული, ამაყათ მიდი მოდის ცის გუმბათზე, სრულიად სახე გაფერილი არც მაშინაა... ლაქა აჩნია, მიყვარს ეს დატანჯული მნათობი, რადგანაც იგი ატარებს სახეს სამშობლოსას და მჯერა, რომ არ მოკვდება ჩემი სამშობლო, ვისი ხელშიაც ის არ გადავიდეს, ვით არ გაჰქრება ჩემი სატრფო მნათობი...

— სოლომონ!—ვით ჭაბუკი წამოიჭრა მოხუცი და გადაეხვია მსაჯულს.—დღეს რომ დავმალო ჩემი სამშობლო რუსეთის კალთის ქვეშ შესასვენებლათ და ჯან-ღონის მოსაკრეფათ, მარწმუნებ, რომ იგი ერთ დღეს თავს გაინთავისუფლებს და, ვით შენი მნათობი, კვლავ განახლდება, კვლავ გაცოცხლდება?!

— მჯერა და მწამს, მეფეო და ბრძანებელო ჩემო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, საქართველო კვლავ განახლდება, კვლავ გაბრწყინდება.

— გმადლობ, ჩემო სოლომონ, გმადლობ, რომ ეს სათუო იმედი მაინც ჩამატანე საფლავში, —სთქვა, შუბლის გახსნით, მოხუცმა და ალმასებით მოიქარგა მისი არწივის თვალები.

კირილე წუთისოფლელი.



# † მისს მარჟორი უორდროპი.

უცხოელები ხშირათ მოდიან აღტაცებაში საქართველოს ნახვით და მისი ისტორიით; ხშირათ მოგზაურობენ და რამდენიმე ფურცელს უძღვნიან კიდეც მის ტურფა ბუნების აღწერას. მაგრამ საქართველოსთვის ისე გულწრფელათ არავის არ უმუშავნია როგორც მარჟორი უორდროპს, რომლის სიკვდილის ათი წლის შესრულების გამო არ შეგვიძლიან არ გავაცნოთ ახალ თაობას საქართველოს მოამაგე ინგლისელი ქალის ღვაწლი. მარჟორი უორდროპმა, საუკეთესოთ განათლებულმა ქალმა, შეისწავლა ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა, რამდენჯერმე იყო საქართველოში: საჩხერის მხარე, კახეთი—ყველა მოიარა თავისი ოჯახობით და საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლო გაიხადა მეორე სამშობლოთ. მისი შეწუხება და გაჭირვება მიაჩნდა თავის შეწუხებათ და ასე მწერდა სიკვდილის წინეთ 1908 წელს: „გული მიწუხს თქვენთვის, საქართველოსთვის და ყოველ დღე ვინატრი, რომ მალე გათენებულიყოს ბედნიერების დილა.“ და მან ვერ ნახა, ვერ მოესწრო თ ვის მეორე სამშობლო ენახა განთავისუფლებული.

რა თავდადებით და სერიოზულათ ეკიდებოდა თავის მუშაობას, ჩანს იმის წერილიდან ჩემთან: „ვეფხის ტყაოსანი კიდევ დასაწყისიდან გადავთარგმნე, ამისათვის რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ეხლა ნახევარი გავათავე და სურვილი მაქვს რომ ზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოთ კვახე თარგმანი იქნება და დიდი ხანი, შრომა და მოთმინება უნდა წინეთ რომ დაიბეჭდოს, მე არ მინდა, რომ გლახათ იყოს და სურვილი მაქვს, რომ მშვენიერობა რუსთაველისა არ დაიკარგოს.“

ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, 40 წლისა არ იქნებოდა რომ წყეულმა დამბლობამ ენა წაართვა, ის მთრთოლვარე ხელით ჰაერში სწერდა, როგორც გადმოგვცეს, სიტყვას „საქართველო“.

ან. წერეთლი.

# მისს მარჟორი უორდროპი.

### მოგონება.

(გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო.)

„ილია გთხოვთ ჩვენთან ერთად დღეს საღამოს წამობრძანდეთ მცხეთას მისს მარჟორი უორდროპის შესახვედრად“. მწერდა ოლღა ჭავჭავაძისა და მეც, რასაკვირველია, აღტაცებით შევხვდი ამ წინადადებას. გაგონილი მქონდა რომ ინგლისელი ქალი უორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროპი იმდენათ დაინტერესებული იყო ჩვენი ქვეყნით რომ ის შეუდგა ქართული ენის შესწავლას და ეხლა თვითონაც მოდიოდა პირად გასაცნობათ ჩვენი ქვეყნისა და იმის ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლათ. ვაგონის კუთხეში მიმჯდარი თვალწინ ვიყენებდი ინგლისელ ქალს ახოვანს, ამაყს, მკაცრი შეხედულობით, რომელიც მხოლოდ საქმეს იყენებს მიზნათ და სხვა გარეშე გრძნობას სრულიათ არ აქცევს ყურადღებას და ცოტა არ იყოს ვკრთებოდი და გამბედაობას ვკარგავდი იმის შესახვედრათ. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩემ განცვიფრებას, როდესაც მცხეთის ვაგზლის ფოიეში, ჩვენ მოგვეგება ჯერ სრულიათ ყმაწვილი 17—18 წლის ქალი-შვილი გასაოცარი ტკბილი ღიმილით და თვით ყმაწვილური მოკრძალებით და სათნოებით აღსავსე ქცევით გამოგვიწოდა მეგობრულათ ხელი.

იმის წაბლის ფერ კულულებით შემკულ, ლამაზათ მოყვანილ თავს ანათებდა და აცხოველებდა მშვენიერივე დიდრონი წაბლის ფერი ნათლით გამჭვირვალე თვალები და ეს თვალები დაუვიწყრათ იზიდავდენ კაცის გულს ამ თვალების პატრონისადმი და ჩვენც მოჯადოვებულნი იმის თავაზიანობით ქართველურათ გულახდით მივესალმეთ და გადავკოცნეთ.

მას შემდეგ მისს უორდროპი კარგა ხანს დარჩა საქართველოში. ინახულა კახეთი, საგურამო და სხვა კუთხეები საქართველოსი. და მე მრავალჯერ მქონდა შემთხვევა იმისი ნახვისა და ახლო გაცნობისა. მისს მარჯორი უორდროპი ერთი იმ იშვიათ ქალის ტიპის წარმომადგენელი იყო, რომელთა სიცოცხლე და არსებობა ამშვენებს, ასპეტაკებს და წმინდათ ჰყოფს კაცთა შორის განწყობილებას. ბუნებით უკეთილშობილესი თვისებებით შემკულნი, ისინი ჰხიბლავენ თავიანთ მნახველებს თავიანთი ქველობით, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალ სულოვნებით და უმწიკვლო ზნეობით და კაცთ მოყვარეობით.

მისს უორდროპის კარგათ მცნობი და თვით სიმართლის ქურუმი და უმწიკვლო სიწმინდის კაცი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელმაც პირველმა გააცნო და შეაყვარა მარჯორის თავისი მშვენიერი სამშობლო და მაღალ ხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლი ქართველებისა, „ვეფხის ტყაოსანი," ამბობს მისს უორდროპის გარდაცვალების გამო, რომ მარჯორის უყვარდა ყოველი სულდგმული და ყოველ სულდგმულსაც მარჯორი, ვისაც კი განუცდია იმისი კეთილშობილური არსებობის სიახლოვე და ზნეობრივი სიმაღლე. თაყვანს სცემდენ მოსამსახურენი, თავს ევლებოდენ ახლობელნი და თვით ფრინველნიც კი, რომელნიც მუდამ გარს ეხვივნენ ამ სიკეთის დაუშრეტელ წყაროს. „ერთხელ იმასთან ვსადილობდი და ღია ფანჯრიდან შემოფრინდა პატარა ბეღურა ჩიტი, იმის თეფშიდან აჰკენკა საჭმელი, მერე თავზე შეახტა, შესჭიკჭიკა რაღაც, თითქოს მადლობა უთხრა მასპიძლობისათვის და ფანჯრიდანვე გასრიალდა"...

მისს უორდროპი იმის გარდა, რომ იყო სათნო, საყვარელი, იშვიათი კეთილშობილებით და სისპეტაკით შემკული ის იყო აგრეთვე ინგლისელი რასის ნამდვილი წარმომდგენელი მტკიცე ხასიათის და სიტყვის საქმეთ მქცევი ადამიანი და ამ ხასიათის სიმკვიდრეს უნდა მივაწეროთ, რომ ყმაწვილმა ქალმა, ამასთან სუსტმა და ნაზის აგებულებისამ, გადალახა ყოველი დაბრკოლება და ინგლისიდან ამ სიშორეზე მოვიდა. ინახულა აღთქმული ქვეყანა, შეიყვარა ის, შეისწავლა და მისცა სანუგეშებლათ თავისი დიდი შრომა. გააცნო ეს ქვეყანა თავის ქვეყანას არა სიტყვით, არამედ დიდის საქმით. იმან სთარგმნა ჩვენი პოეზიის უმშვენიერესი ნაწილი ზეპირ-სიტყვაობა, ხალხური

ზღაპრები საბა სულხან ორბელიანის იგავ-არაკნი, ილიას უკვდავი პოემა „განდეგილი" და თვით „უკვდავება" ჩვენი უკვდავი სულის სიმდიდრისა და გენიისა-ვეფხის ტყაოსანი. და ამ თარგმანს ზედ შეალია მთელი თავისი სიყმაწვილე და აღფრთოვანებული სული. ათი წელიწადი მოანდომა იმის ლექსთა წყობას, სიძნელის დამუშავებას, ბაირონის და რუსთველის ენის კეთილხმოვანების შეთანხმებას. მაგრამ მუხთალმა სიკვდილმა აქაც გვიმუხთლა და დიდი შრომა დაუმთავრებელი დარჩა. მისს უორდროპი გადიცვალა ჯერ სრულიად ყმაწვილი, მრავალის სურვილებით, მაღალი განძრახვით აღსავსე. იმის დასაფლავებას ლონდონის მოახლოვებით უორდროპთა საგვარეულო აკლდამაში დაესწრენ ოთხი ქართველთა წარმომადგენელნი, შეამკეს მისი მცხედარი ცოცხალი ვარდების გვირგვინით და ზედ წარწერით:"

მარჟორი უორდროპის მშობლებმა და ძმამ ოლივიერ უორდროპმა თავისის კეთილშობილის განსვენებულის სამარადისო სახსენებლათ და ქართველთა საბედნიეროთ შესწირეს დიდი თანხა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ქართული ენის კათედრის და ქართული ბიბლიოთეკის დასაარსებლათ. ამ რიგათ ინგლისელმა ქალმა ქართველთა ვინაობის ფართე შესწავლას და მის დაახლოვებას ევროპის უწარჩინებულეს ერთან გზა გაუხსნა.

საუკუნო იყოს ხსენება მისი და სამაგალითოთ დარჩეს მისი ძვირფასი შრომა ჩვენ ახალთაობისათვის.

**ეკ. გაბაშვილისა.**

---

რუსეთის გამოჩენილი პოეტი ბალმონტი ერთ თავის ლექციაში მოიხსენა, რომ „ვეფხის ტყაოსანი" არსებობა შემთხვევით, მოგზაურობის დროს ოლივერ უორდროპისაგან შეიტყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარ გოშა.

## ბ ა ვ შ ო ბ ა.

მისს ბეტიმ მეორე დღესვე იარახჩინი შეუკერა.

ბეტი ძალიან მოსაქმე ქალი იყო; იმას ვერ წარმოედგინა ბავში უთავსაფაროთ. ამ იარახჩინმა ქალებს დიდი მწუხარება და ეჭვი აღუძრა. ბავშს თავზე ძილში ჩამოაცვეს. როგორც კი გამოეღვიძა, ბრძოლა ასტეხა. თავისი შავგრემანი ხელებით ჯერ შესაკრავებს დაუწყო ბრძოლა, ისე რომ თვალებზე, ცხვირზე ჩამოეფარა თავსაფარი. ის ისე იბრძოდა, როგორც ლეკვი, რომელსაც თავზე მოახვიეს და უნდათ ბებიას დაამსგავსონ. ბავშმა შესაკრავები გაიხსნა; იარახჩინი ძირს გადააგდო. ყოველი ცდა, რომ ის შესჩვეოდა თავსაფარს ამაო იყო. ტომაზინმა ურჩია ბავშისთვის თავი დაენებებიათ; ჯერ ჯერობით თბილოდა, თანაც სქელი თმა ეზრდებოდა.

იმათ ეშინოდათ ვაი თუ ბავშმა არც მოსანათლავი პერანგი მიიკაროსო, მაგრამ ბიჭი პასტორის ხელში ისე დამშვიდებული და მოსვენებული იწვა, რაც უნდოდათ, იმას უშვებოდენ. დები კარგ წინასწარ სასოებას გრძნობდენ. ნათლი-დედათ მისს ბეტი იყო და ნათლი მამათ კი ეკლესიის მოსამსახურე, სახელათ ჯონი დაარქვეს, გვარი კი გამოუგონეს: რადგან ბავში შავთავას ბუჩქებში იპოვნეს და ინგლისურათ ამ ბუჩქს ბრუმი ჰქვიან, ამიტომ ჯონ ბრუმი უწოდეს. მისს ბეტიმ დაბადება უყიდა და ზედ დააწერა: ჯონ ბრუმს საუკეთესო სურვილით ცხოვრებაში სააქაოს და საიქაოს საუკეთესო მეგობრებისაგან. დაბადება თალხ ქაღალდში იყო გახვეული და ტომაზინის სკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრში შენახული, ჯონის გაზრდამდის და დაჭკვიანებამდის. ბავში სწრაფათ იზრდებოდა; მაგრამ მახლობლების აზრით, გვიან ჭკვიანდებოდა. როგორც კი აიდგა ფეხი, ფეხშიშველა სიარულს და ეზოში ყოფნას არჩევდა. როდესაც გარეთ გამოუშვებდენ, ის თავის ფეხსაცმელს კარებთან დასტოვებდა. არა ერთხელ ტომაზინას ფეხსაცმელი ფეხის გულებზე მიურტყამს მისთვის იმ მიზნით, რომ ფეხ ჩაცმას მიეჩვიოს. მისს ზეტი კი ოხრავდა ვექილის სიტყვები აგონდებოდა. არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, რომ ეს ლამაზი ბავში თავიანთ ამზრდელებს ბევრ სასჯელს აყენებდა. რაღაც ეშმაკური სიცელქე უბრწყინავდა მას შავ თვალებში, არც ხელებს და არც ფეხებს არ ასვენებდა. იმას აჭრელებული ნივთები უყვარდა. მეტადრე ჭურჭელი. რადგან ჭურჭელის განჯინა იყო, საცა ბავში სცხოვრობდა, ხშირათ ხელში ჩაუვარდებოდა ხოლმე რომელიმე ჭრელი ლამაზი ჭიქა, ათამაშებდა და ელერსებოდა. ტომაზინას ფეხის ხმას რომ გაიგონებდა, ამ ჭიქას იატაკზე დაახეთქებდა და რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა გარბოდა. ამ გვარათ დიდ-ძალ ჭურჭელს აოხრებდა. ეს იყო საგრძნობელი მით უფრო რომ ეს ნივთები ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა. ტომაზინა თავის ქალბატონებზე უფრო გაფრთხილებული იყო და უბრალო ჭიქის გატეხაც კი დიდ უბედურებათ მიაჩნდა.

ტომაზინამ თავისუფლათ ამოისუნთქა, როცა ბავშის გარეთ გამოშვება შესაძლებელი შეიქნა. ჯონი ბაღში და მწვანე ბალახში დარბოდა; იმას ყვავილები მოოქრულ ჭიქებს ურჩივნა; ის ვარდ გეირილას და ეკალ მაყვლის კონას შეჰკრავდა და დიასახლისებს ალერსიანათ მიართმევდა. მისი ამზრდელებიც ამ დროს აოხრებულ და დამტვრეულ ჭურჭელს ივიწყებდენ. მაგრამ ბოშას ერთსა და იმავე ადგილზე თამაშობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მოსწყინდა. უფრო ფართო ასპარეზის ძებნას შეუდგა.

თბილი, მზიანი დილა იყო. ბავშს გამბედაობა ალეძრა. ეზოდან გარეთ გაიქცა. ხან ფეხი, წაუბორძიკდებოდა, ხან დაეცემოდა, მაგრამ ისევ მალე წამოდგებოდა ზეზე და მირბოდა. ბოლოს მიადგა ერთ კარებს, რომელიც ღია იყო. ძველებურ ბაღში შევიდა, აივანი მშვენიერი ვარდის ფერი ზამბახით იყო მოფენილი. ჯონს კარგად ახსოვდა ტომაზინის სიტყვები: „წადი და ყვავილები დაჰკრიფეო“. იმას ეგონა, ყვავილები იმიტომ არის დათესილი რომ დაიკრიფოსო. ბავშმა ერთ აივანზე თავიდან დაიწყო და ბოლომდის დაჰკრიფა მთელი ზამბახი.

ამ დროს ტომაზინას ბავში მოაგონდა და, ეზოში რომ ვერ ნახა, ერთი აურზაური ასტეხა.

მისს კიტის ეგონა მაწანწალა ბავშებმა მოიტაცეს ბავშიო, მაგრამ ბეტის ბაღი მოაგონდა და ორივენი იქ შევიდენ საძებნელათ. თუმცა ბავშის პოვნამ ძალიან გაახარა, მაგრამ მთელი აივნის ზამბახის აოხრებამ დაამწუხრა. მისს ბეტის ბავშობითვე ძალიან უყვარდა აივანი. ისე ეწყინა, რომ შეჰყვირა და იქვე მახლობელ მაგიდაზე დაეცა.

ჯონმა, ეს რომ შეამჩნია, ბორძიკ-ბორძიკით გაექანა, და იმის ფეხებთან გაიშხლართა და ყვიროდა: „ეს შენთვის არის, მისს ბეტი!“

— მისტყეპე კარგათ! სთქვა კიტიმ.

— ხელები გამომიშვირე, ჯონ! სასტიკათ უბრძანა ბეტიმ. ბავშმა ისე მშვიდობიანათ და ნდობით გაუშვირა თავისი პატარა, მსუქანი თათები, რომ მისს ბეტიმ ცემა ვერ მოახერხა და უთხრა: „ჯონი საძაგელი ბავშია. ჯონმა ჩაფიქრებით შეხედა ყვავილებს და თავი გაიქნია; მისს ბეტიმ ისევ გაიმეორა:— ჯონ ბრუმი ძალიან ცუდი ბიჭია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავში ტომაზინას მიჰგვარა, მერე ყვავილები მოაგროვა და ვარდის ფერ ქილაში ჩააწყო. ნასადილევს სამზარეულოში შეიხედა კიტიმ და ნახა, რომ ჯონ ბრუმი იატაკზე იჯდა და ყვავილებით სავსე ქილას ჩაფიქრებული შესცქეროდა.

— რა მშვენიერი ბავშია, წაიბუტბუტა კიტიმ. ის კი ვერ შეამჩნია, რომ იმას ფეხსაცმელები გაეხადა და წყლით სავსე ჯამში ჩაეყარა.

ჯონმაც კიტი ვერ შეამჩნია. იმას უნდოდა ახალ აღმოჩენილ ადგილას წასვლა. იქ ხომ კიდევ ბევრი ყვავილი დარჩა და იმის წვრილი ყლორტის დამტვრევა ძალიან მოსწონდა.

ტომაზინი სამზარეულოდან რომ გამოვიდა, ჯონი კარში გამოვარდა და გაიქცა. ფეხშიშველა უფრო მარდათ და თავისუფლათ გარბოდა. შევიდა ბაღში და ბეტის სიტყვები მოაგონდა და თავის ქნევით იძახდა: „ცუდი ბავშია“. ეხლა მეორე აივანს მიადგა და განადგურება დაიწყო. დიდი კონა მოჰკრიფა და სახლისაკენ წავიდა. ტომაზინა უკანა კარებთან იდგა; ყმაწვილმა ყვავილების კონა უჩვენა და სთქვა:— „ჯონ ბრუმი ძალიან ცუდი ბიჭია“. ტომაზინა ისეთი რბილი გულისა არ იყო, როგორც მისი ქალბატონი. ხელებზე, ზამბახის დაკრეფისათვის კარგა მიარტყა და ფეხებზედაც მიტომ, რომ ფეხშიშველი იყო.

## ს წ ა ვ ლ ა.

როცა ჯონი წამოიზარდა, სასოფლო სკოლაში მიაბარეს. მათი მეგობარი ვექილი შეჰპირდა, თუ კარგათ ისწავლის ამ ბოშას საქმეში ჩავაყენებო. მისს კიტი აღტაცებული იყო და ბავშის მომავალ კეთილ დღეობაზე ოცნებობდა. მაგრამ იმისი იმედები არ გამართლდა. სწავლის დროს სულ ცელქობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატარებდა დროს ჯონი. ამხანაგებთან კარგი განწყობილება ჰქონდა და არ ჩხუბობდა. სირბილში და ვარჯიშობაში ყველას სჯობნიდა, მეტადრე ფეხშიშველა როცა იყო. ყველა ფრინველების ბუდეები ზედმიწევნით იცოდა. კალმის დანით ამხანაგებს სხვა და სხვა სათამაშოებს ამოუჭრიდა ხოლმე.

მისს ბეტიმ წერა-კითხვის სწავლება დააწყებინა და რომ კითხვის სურვილი აღეძრა, თავის ნაჩუქარ „დაბადებას“ უჩვენებდა და ეუბნებოდა:

— როცა კითხვას ისწავლი ამ წიგნს მაშინ მოგცემო. არაფერი დაპირება არ შველოდა. წიგნი ტომაზინას სკივრში იდვა ძველებურათ. ბავშს „დაბადებაში“ დაწერილი ამბები ძალიან მოსწონდა და მზათ იყო მთელი დღეები ფეხგაუნძრევლივ მოესმინა. ჯონს ზამთრის გრძელი ღამეები უყვარდა. ის სამზარეულოში თავის საწოლზე იწვა. ტომაზინა წინდებს ქსოვდა და სოფლის ამბებს უამბობდა. ტომაზინას სხვა მსმენელებიც ჰყავდა: პატარა გოგონა ანნი და მწყემსი. მისს ბეტის ბრძანებით ყველა ესენი საღამოს ლოცვას ესწრებოდენ; მწყემსი კარებთან ახლოს დაჯდებოდა ხოლმე, რომ ტომაზინას მისი ჭუჭყიანი ფეხსაცმელი არ შეემჩნია. ძნელი გამოსაცნობი იყო რა უფრო უყვარდა ამ მწყემსს—ლუდი თუ ჯონ ბრუმი. ამ ორი საგნის შემდეგ კი ტომაზინას ნაამბობი. მწყემსი და ტომაზინა ერთი სოფლიდან იყვენ და იმიტომ დედაკაცი დიდის ყურადღებით ექცეოდა. ნაამბობში პირველი ადგილი ეჭირა ალის და ქაჯებს. მწყემსიც თავის გამოგონილ ამბებს ჩაურთავდა ხოლმე. მაგალითად: ერთხელ ღამით სახლში ბრუნდებოდა და იმას შავი ხბოს მსგავსი რამ სდევნიდა, ღმუოდა, ყვიროდა და მის გარშემო ხტოდა. შიშით თხრილში გადავარდა და მეორე დილას მოურავმა ამოათრია და სიმთვრალე დააბრალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონსა და მწყემსს ყველაზე უფრო ჭინკების ამბები უყვარდათ. ამათ შესახებ ტომაზინა ძალიან ცოტას უამბებდა. იმას სწამდა რომ ჭინკა სახლის მეგო ბარია. როდესაც სახლს შემოეჩვევა, გაუთენებლივ ადგომა საჭირო აღარ არის, ყველა საქმეს აკეთებს. ამბობდენ რომ ოდესმე ჭინკა ლინგბორშიც სცხოვრობდა, უცბათ გაჰქრა და არ იციან სად წავიდაო. ნახვით არავის უნახავს, მაგრამ, იმასაც ამბობენ, ვინც კი შეხვედრია ბანჯღვლიან დათვის მსგავსი იყო და საჯინიბოს კარებთან იწვა ხოლმეო. ღამით ჯამით კუთხეში წვნიანს დაუდგამდენ.

## ლამაზი კოკი.

დები ცდილობდენ ჯონ ბრუმი სისასტიკეში აღეზარდათ, მაგრამ ხშირათ სიბრალული სძლევდათ ხოლმე. ტომაზინა მთელი დღეებით იმის დარიგებაში იყო, ამასთანავე თავის დიასახლისებს იმის სიცელქეს და ავკაცობას უმალავდა და ესარჩლებოდა.

მოურავი შოტლანდელი იყო: სასტიკი, მოუხეშავი შეხედულებისა. მაგრამ კეთილი გულისა. ძალიან ანგარიშიანი და ჭკვიანი. თავზე ლაქებისაგან აჭრელებული ქუდი ეხურა. არავის არ ახსოვს, რომ ეს ქუდი, ან მისი სამუშაო ტანისამოსი, ოდესმე ახალი ყოფილიყოს, მაგრამ არას დროს ჯონ ბრუმივით დაძონძილი არ დაიარებოდა. ბავში იმ ხნისა იყო, რომ ოჯახში მუშაობა შეეძლო. იმდენი შნოც არა ჰქონდა რომ ბოსტანიდან ფრინველები გაერეკა; მოურავის შვიდი წლის შვილი კი საქონელსაც აძოვებდა.

— ფერებით და საჩუქრებით ბიჭს აფუჭებენ. ბუტბუტებდა მოურავი, როდესაც დები ჯონს აჩუქებდენ ხოლმე გროშს. როცა ჯონი თერთმეტი წლისა შეიქნა და სწავლის იმედი აღარა ჰქონდათ, მათი მეგობარი ვექილის წინასწარმეტყველება სისრულეში რომ არ მოეყვანათ, გადასწყვიტეს მოურავისთვის ჩაებარებიათ, რომ იმის ნიჭის დაგვარათ რამე საქმეს შესჩვეოდა.

მოურავს კარგად ახსოვდა რომ უსაქმურობა და სიზარმაცე უზნეობის დედაა. თვალს ადევნებდა ბავშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბევრ საქმეს აკისრებდა. ჯონისთვის მძიმე დღეები დადგა: როგორც კი დაიწყებდა თამაშობას, საცა არ უნდა ყოფილიყო, ლაქებიანი ქუდი გამოჩნდებოდა. ჯონი და მოურავი გადამტერებული იყვნენ. ჯონს იმისთანა მუშაობა უყვარდა, რომელიც ესიამოვნებოდა. ხეებზე ცოცვა, ძაღლებთან სირბილი, ჯოხების მოჭრა და ლამაზი ტარების ამოჭრა, ჭაობებში ტლაპუნი, წვრილ მხეცებთან და ფრინველებთან მეგობრობა. იმ საქმეებს, რომელსაც მიანდობდენ ხოლმე, არა თუ არ სრულდებოდა, ცდილობდა გაეფუჭებია და თავისი ხელმძღვანელი აეშფოთებია. იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ჯონი მინდობილ საქმეს კარკათ ასრულებდა, მისი მასწავლებელი მაინც უკმაყოფილო იყო. მოურავი იმ აზრისა იყო, რომ ქება ადამიანს აფუჭებს.

იმისთანა შემთხვევაც იყო, რომ უნებურათ შეაქო მოურავმა ჯონი.

ერთხელ დების ნათესავმა, რომელიც ტროპიკულ ქვეყნიდან დაბრუნდა, საჩუქრათ თუთიყუში მოუყვანა მათ. ფრინველი ძალიან ლამაზი გამოდგა და ჯონი აღტაცებული იყო. ნათესავმა ფრინველთან ერთად ქანდარაც გამოგზავნა, ფრინველს ფეხზე ჯაჭვი ჰქონდა შებმული,

დები ამ საჩუქრის ძალიან კმაყოფილი იყვნენ. მაგრამ არ იცოდენ ფრინველი როგორ გადაესვათ იმ გალიიდან, რომლითაც მოიყვანეს და რომელიც ნისკარტით დაემტვრია. რო ვინმე მიუახლოვდებოდა, საშინელ ყვირილს მოჰყვებოდა და თავის ქოჩორს ისე აიბურძგნიდა რომ ერთხელ ანნი შიშით სამზარეულოში გაიქცა. მოურავი რჩევას აძლევდა, მაგრამ თვითონ კი მოშორებით იდგა.

— უყურე როგორ ყვირის და აბრახუნებს! ძალიან ანჩხლია, შენიშნა მისს ბეტიმ.

— იმას გალიიდან გამოსვლა უნდა, —სთქვა ჯონმა. —ქანდარაზე უფრო დამშვიდებული იქნება.—მე მინდა გალიიდან გამოვიყვანო.

— შენ, შენი თავის დიდი იმედი გაქვს —უთხრა მოურავმა და გარედ გავიდა.

ჯონმა დებსა სთხოვა—თუთიყუშთან მარტო დამტოვეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ შეიძლება იმისთანა ბრაზიანა და ველურ ფრინველთან მარტო დარჩენა!

— იმას თქვენი ეშინია და, როდესაც მოშორდებით, დამშვიდდება. იძახდა ყმაწვილი.

— ჩვენ გვინდა ვნახოთ რას იზამ.

— თქვენ სარკმლიდან შეგიძლიათ მიყუროთ. კარები კი მაგრა გაიხურეთ, თორემ გაფრინდება.

— მე ვერ ვაპატიებ ჩემ თავს თუ დაგკოდა.

— ნუ გეშინიანთ, მე ეგ შემიყვარდა და მეც მალე შეუყვ რდები.

დები დასთანხმდენ, ბაღში გავიდენ და სარკმელიდან იყურებოდენ. ჯონმა კარები ჩაკეტა და გალიას მიუახლოვდა. ფრინველმა ქოჩორი აიბურძგნა; ნისკარტი გააღო და ფრიალს მოჰყვა.

— ნუ მიუახლოვდები! დაიყვირა მისს ბეტიმ და შუშა დაუკაკუნა. ჯონმა არ დაუჯერა.

— აბა რას იბურძგნები! ეუბნებოდა ის თუთიყუშს —შენ მეგობრებს ვერა სცნობ? მე მინდა გაგანთავისუფლო, გესმის თუ არა!

— ოჰო, შენ მხიარული ფრინველი ყოფილხარ! —გააგრძელა მან, როდესაც თუთიყუშმა ფრთები გაშალა და გალიაში წრიალი დაიწყო.

— მოშორდი, მოშორდი, დაუყვირეს დებმა. ჯონმა გალიის კარები გააღო.

— გამოდი! გაისეირნე! უბრძანა მან და იმ დროს როდესაც დები ყვიროდენ დაანებე თავი, გალიაში იჯდეს! თუთიყუში ამაყათ თავ აწეული გამოვიდა და წამოიყრანტალა: „ლამაზო კოკი“! სწორედ ამ დროს მოჰკიდა ჯონმა ჯაჭვს ხელი; ლამაზმა კოკიმ სასტიკათ შეხედა და მივარდა.

ბავშმა სიცილით მიიფარა სახეზე ხელები და თავისი ხუჭუჭი თმები მიუშვირა. ჯაჭვი ხელიდან არ გაუშვა, დები კი ყვიროდენ:

— ფეხს მოსტეხ! თვალებს ამოგკორტნის! თავი დაანებე! ჯონ! გალიაში შეაგდე!

ამ დროს კოკი მედიდურათ დასეირნობდა ოთახში და ჯონი ცალ ხელში ჯაჭვით და მეორე ხელში ქანდარით —თვალს ადევნებდა. როდესაც მისს ბეტი მეკარეს დაძახებას უპირებდა რომ კარები გამოემტვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია. ბავშმა კოკი კუთხეში მიამწყვდია, ის ქანდარას შეახტა და ჯონმა თალიან სარკმელში ქანდარა გაამაგრა.

თუთიყუში დიასახლისებს ძალიან შეუყვარდათ. ჯონი კი იშვიათათ ხედავდა. ეს აწუხებდა, რადგან ფრინველი იმასაც შეუყვარდა. დებმა ჯონი უხვად დაასაჩუქრეს, მაგრამ მოურავმა იმის დამსახურება ვერ დააფასა და ისევ ისე სასტიკათ ეპყრობოდა.

ერთხელ თუთიყუშს ჯაჭვი დაეგრიხა, მისს კიტი მივიდა რომ გაესწორებია; ფრინველი ცნობის მოყვარეობით უყურებდა იმის მოძრაობას, უცბათ ეცა. მისს კიტი შიშით გაიქცა, კარები კი მიიხურა, მაგრამ სარკმელი, სადაც ქანდარა იდგა, ღია დარჩა.

დები ბაღში გამოცვივდენ და იმ დროს, როდესაც კიტი იძახდა:" — „კარგია რომ კარები ჩავკეტეთ, მერე მოვიფიქრებთ, რა ვუყოთ! თუთიყუშმა ქოჩორი აიბურძგნა, ფრთები გაშალა და ღია სარკმელიდან გადმოფრინდა.

ათი წუთის განმავლობაში მთელი ლინგბორის მცხოვრებლები და მათთან მოურავიც ფეხზე დადგენ და ბაღს შემოერტყენ.

თუთიყუში ფიქვის მაღალ ტოტზე იჯდა. დებს უნდოდათ გადმოეფრინათ. ცხვირსახოცს უქნევდენ და ქშა! „ქშას!" უყვიროდენ. ფრინველი დამშვიდებული შესცქეროდა და მერე აფრინდა

— სახლში მიფრინავს გაეხარდა კიტის.

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან კარგა შორს, მაღალ ტირიფის ტოტზე შეფრინდა და ქანაობა დაიწყო. ამ დროს ჯონ ბრუმიც ხალხს შეუერთდა და ფრინველს შესცქეროდა.

— ნეტავი თუ ვინმე გაბედავს—ამ ხეზე ავა და ჯაჭვს ხელს მოჰკიდებს.—სთქვა მოურავმა.

— აი მე ვცდი! წამოიძახა ჯონმა და ქუდი მოიხადა.

— კისერს მოიტეხ, - სთქვა მოურავმა.

— არა, არა, მაგის ნებას არ მოგცემთ, არ გვინდა,—გამოაცხადეს დებმა. იმათ ნება დაურთველათ ჯონ ბრუმმა ფეხსაცმელი წაიძრო, ხელებზე დაიფურთხა და ხეზე აცოცდა. რამდენიმეჯერ დიდ განსაცდელში იყო. ყველას თავზარი დაეცა. მაგრამ შუბლი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დან თმები გადიწია და უფრო მაღლა მიცოცავდა.

მოურავიც გულ გრილათ ვერ უყურებდა მის სიმამაცეს და გამბედაობას.

— ჩამოდი, ჯონ! გიბრძანებ, ჩამოდი! ღელავდა მისს ბეტი. მოურავმა შუბლზე ქუდი ჩამოიფხატა; ხელები გულზე დაიკრიფა და შეჰყურებდა.

— ეხლა ნუ უძახით, აღელვებული ურჩევდა მოურავი.— დაიჭირე ჯონ! თამამათ ფეხებში ხელი სტაცე.

ჯონის ფეხ ქვეშ ტოტმა ტკაცუნი დაიწყო და მოსტყდა. მოურავმა კბილები დააკრაჭუნა. მისს კიტი ტომაზინის მკლავზე დაეცა.

— მე უხვად დავასაჩუქრებ იმას, ვინც ბავშს ხიდან ჩამოიყვანს! ყვიროდა მისს ბეტი.

ჯონ ბრუმი თუთიყუშთან ახლოს, ტოტზე იჯდა.

— რა კარგი ქანდარა გაქვს! უთხრა პატარა ჯონმა. კოკიმ იმისი ხმა იცნო და სიხარულით მიუახლოვდა. ვინ იცის რა ბედნიერი ოცნებები უტრიალებდა თავში ფრინველს, რომ ამისთანა მეგობართან თავისუფლათ ითამაშებდა. მაგრამ როცა იგრძნო, რომ ამხანაგს მისი დატყვევება უნდოდა, ძალიან გაჯავრდა. ჯონმა ორივე ფეხებში წაავლო ხელი და ხიდან ჩამოდიოდა. კოკი გამწარებული ჰკორტნიდა, მაგრამ ჯონი თავის ხუჭუჭ თმებს უშვერდა და ისე ჩამოდიოდა.

— ყოჩაღ, ამხნევებდა მოურავი. თვალებს გაუფრთხილდი, ღმერთი იყოს შენი შემწე.— აი ყოჩაღ ბიჭო!

ჯონი ხიდან ჩამოხტომას აპირებდა. მოურავმა თავის შვილს, რომელიც პირდაღებული იდგა, ტუქსვა დაუწყო.

— რას დგახარ, შე შტერო და თვალებს დაგიჭყეტია? ქანდარა მაინც მოიტანე! შენ მე მარცხვენ! დაიკარგე აქედან! სანამ ჯოხი არ გიგემია!

ჯონი ხიდან მხიარულათ და გამარჯვებული ჩამოხტა. თუმცა სახე დაკორტნილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა. მოურავი უყვიროდა.

— უნდა გამოგიტყდე ჯონ, რომ ძალიან მამაცი ყოფილხარ.

(შემდეგი იქნება)

ქ. მესხი.